გაზეთი ბევრის, „ვერსიას" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№25 (920) 17 - 18 მარტი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ლიტო ბელოვანი

## ნუ უსმენთ მათ!

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

# გუბაზ სანიკიძის სკანდალური განცხადებები „ფორუმის" დახურულ შეხვედრაზე




„პარტია „ოცნება" ყოფილი ნაციონალებით გაივსო... ისემც უქნიათ, შიგნით ყიზილბაშები შეუყვანიათ!"

„მინისტრთა კაბინეტში რეალურად ორი ეფექტური მინისტრია — ნარმანია და სეერგეენკო... ზოგი კი, საერთოდ, დედამიწას არ ატყვია!"

გვ. 3

„მთავრობას კარგი საკადრო პოლიტიკა არ აქვს, შეცდომებს ვუშვებთ, რაღაცები იგვიანებს..."

## რა ელის „ხრუშჩოვკებში" მცხოვრებ 5 000 ადამიანს

რატომ ვერ დაანგრიეს კომუნისტებმა, რომელი მოქმედი ჩინოვნიკი იხეირებს „ხრუშჩოვკების" დემონტაჟით და რატომ ასაიდუმლოებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი არაბ ინვესტორთან გაფორმებული მემორანდუმის დეტალებს

გვ. 6



## თემურ ალასანიაზე კომპრომატები ხელისუფლებას ჰილარი კლინტონმა მიაწოდა?

რატომ გამოვიდა ჩრდილიდან და რა აკავშირებს სააკაშვილის ბიძას იანუკოვიჩთან



გვ. 5

## რატომ არის ყირიმი რუსეთი ანუ სად ერეკლე და სად... ჭყოიძე

გვ. 3

## სადაზღვევო ომბუდსმენის ინსტიტუტი – ნეპოტიზმისა და ნათესაურ-კლანური მმართველობის ახალი კერა?

გვ. 8

## არასამთავრობოები ხელისუფლებას სატელევიზიო რეიტინგების კონტროლში ადანაშაულებენ

შემოსავლების სამსახური ბრალდებებს პასუხობს

გვ. 7

დიტო გელოვანი

**„ხოდა, იმას ვამბობდი, ძალიან ცუდი კანონი აღმოვაჩინე. თუ არსებობს ორი ადამიანი ერთნაირი ცოდნითა და განათლებით, მაგრამ, დავუშვათ, რომ ბე უჟმურია და ცე კი გულღია და ალალი, იცი, ვის აფასებენ უფრო მეტად?“ „ვის?” „ბე-ს”. „რატომ?“ „რატომ და, ხალხს ასე ჰგონია, თუ ადამიანი სიტყვას დაგამადლის და ამპარტავნად მოგექცევა, მაგარიაო. ექიმია ერთი, მაგალითად; იმდენი არაფერი, მაგრამ ისე აქვს გართულებული ავადმყოფების მიღება და ისე ცივად ექცევა... რა ქვიათ?.. პაციენტები! ისე ცივად ექცევა პაციენტებს, რომ მთელი ქალაქი მიაწყდა — მაგარიაო... ეს ხომ ცუდია, დათა?“ „ნამდვილად ცუდია“ „პირდაპირობის პრობლემა, არ დაგავიწყდეს, ერთ-ერთი ძნელთაგანია“.**

***(გურამ დოჩანაშვილი,***
***„იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი“)***

# ნუ უსმენთ მათ!



პირდაპირ იმ ნიუსით დავიწყებ, რომელიც ყველაზე მეტად მომეწონა. რა თქმა უნდა, იგი მოწოდებულია ჩემი მეგობარი სააგენტოს მიერ.

„პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენლებს გადაეცით, ბიურო ელოდება“, – ეს განცხადება პარლამენტის ბიუროს სხდომაზე პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა მას შემდეგ გააკეთა, რაც გაიგო, რომ ბიუროს პრეზიდენტისა და მთავრობის საპარლამენტო მდივნები არ ესწრებოდნენ. მთავრობის მიერ პარლამენტში ინიცირებული ერთ-ერთი კანონპროექტის განხილვის პროცედურების განსაზღვრის დროს, დავით უსუფაშვილი მთავრობის პოზიციით დაინტერესდა, მაგრამ მთავრობის საპარლამენტო მდივანი ბიუროს სხდომას არ ესწრებოდა. ამის შემდეგ უსუფაშვილი დაინტერესდა, თუ სად იმყოფებოდა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, მაგრამ პარლამენტის ბიუროს სხდომას არც ის ესწრებოდა. ამასთან დაკავშირებით პარლამენტის აპარატის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ისინი ინფორმირებული იყვნენ დღევანდელ დღეს ბიუროს სხდომის თბილისში გამართვის შესახებ. „გადაეცით, რომ ბიურო მათ ელოდება“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა“.

რას გვეუბნება და რაზე მეტყველებს ეს ნიუსი? ეს ნიუსი გვეუბნება, რომ საპარლამენტო მდივნები არიან უსაქმურები. სულ ეს არის და თითქოს არც არაფერია, მაგრამ მოვა დრო და მომენტი და სანამ ჭკუას ისწავლის დომენტი, კიდევ ბევრი უსაქმური აიღებს პრემიასა და დანამატს, კიდევ ბევრი უსაქმური გადაჯდება სიგარეტით გაბოლილი მანქანიდან ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო საშუალებაში და რომ უსაყვედურებ და მოიკითხავ, რით ვერ გაძღა თქვენი მუცელიო, ოდნავ დაირცხვენს, შემდეგ თვალებში შემოგხედავს და აქეთ დაგანამუსებს: „დღედაღამ ვმუშაობთ..“.

არადა, ეს ერთი, ზემოთმოყვანილი ამბავიც საკმარისია იმისთვის, რომ ის ორი თანამდებობა ვაკანტური გახდეს მანამ, სანამ სხვა უსაქმურები არ გამოიძებნებიან, ისეთები, თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ბრძოლას ამ წელიწადნახევრის წინ რომ შეუერთდნენ, ხოლო სანამ ამ ბრძოლას შეუერთდებოდნენ, თავისუფლებასა და დემოკრატიას ებრძოდნენ.

ახლობელმა მითხრა, ერთ-ერთი სამინისტროს კადრებში ფრიად ჩახედულმა პიროვნებამ — განცხადება ვნახე, რომელშიც განმცხადებელი იუწყებოდა, ვარ „ქართული ოცნების“ წევრი 2010 წლის მაისიდან და ვალდებული ხართ, დამასაქმოთო.

ახლა, არ ვიცი, რა ბედი ეწია იმ განცხადების ავტორს. სავსებით შესაძლებელია, რომ მართლაც დასაქმდა და არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ სწორედ იგია პრეზიდენტის ის საპარლამენტო მდივანი, რომელსაც „ბიურო ელოდება“.

თუ ვინმე იცნობს, გადაეცით, რომ ბიურო ელოდება, ისიც გადაეცით, რომ გახშირდა ლეკთა თარეში და ბარემ ისიც უთხარით, რომ ლოქო ქინძმარში ჯერ კიდევ ხელუხლებელია და, ის კი არა, განცხადებას განცხადებაზე ავრცელებს.

„ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები უკრაინაში, შეიძლება ისე შემოგვიტრიალდეს, საერთოდ არავის სცხელოდეს არც საქართველოსთვის და არც სამიტისთვის. თუ სერიოზული შეფასება მოხდება რუსეთის როლის, თუ პოლიტიკური დასავლეთი რეალურად შეხედავს იმ საშინელ დესტრუქციულ როლს, რასაც რუსეთი ასრულებს დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობებში, მაშინ რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ მაპ-ზე კი არა, წევრობაზე უნდა ვილაპარაკოთ. ყოველ შემთხვევაში, დამერწმუნეთ, ჩვენ რომ ხელისუფლებაში ვიყოთ ახლა, აუცილებლად მოვითხოვდით წევრობას“, — ეს იმ ლოქოს სიტყვებია, ქინძმარში რომ ჭყუმპალაობს, აგვისტოს ომის შემდეგ რუსებს რომ ეხვეწებოდა, ნება დაგვრთეთ, მოცეკვავეები გამოგიგზავნოთ, კრემლში გიცეკვებენო... ვინ იყო ის ლოქო? ვინ იყო ის ლოქო, ოკუპანტი ქვეყნის პასპორტს ამაყად რომ დაატარებდა გულისჯიბით?

მისი სახელია გრიგოლ ვაშაძე... ვაშა, ახალ ეროვნულ მოძრაობას, ვაშა, მშვენებას.

გრიგოლ ვაშაძე მსოფლიო დიპლომატიის მშვენებაა.

ეგეთების ადგილი ქინძმარშია და არის კიდევაც ქინძმარში ანუ ნაციონალურ მოძრაობაში. ისა და... „მაპ-ზე უკეთესი“ რატომ დაგვავიწყდა? რატომ არავინ ახსენებს ამ ამბავს ბ-ნ ლოქოს და რატომ არავინ ითხოვს, რომ ბოლო-ბოლო აგვიხსნან, თუ რას ნიშნავდა „მაპ-ზე უკეთესი“? რატომ და, ირაკლი სესიაშვილისა და წითელი ხიდის გმირებისა არ იყოს, არ აინტერესებთ... ჯერჯერობით. ხოლო მე (მე თუ მკითხავთ) მგონია, რომ თუ მაპ-ი არის ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, ნაცების მიერ 2008 წელს მოპოვებული „მაპ-ზე უკეთესი“ ხელისუფლებაში 30 წლით დარჩენის გეგმა იყო, შესაბამისად, ევროკავშირში გაწევრიანების გეგმაზე უკეთესი ხელისუფლებაში 60 წლით დარჩენის გეგმა იქნებოდა.

ისე, რა გინდა — ჯერჯერობით, ისევ ეგენი არიან. ერთი კვირის წინ გახარეთ, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს პიარსამსახურის უფროსად რამაზ ნიკოლაიშვილის მარჯვენა ხელი რომ დაინიშნა, გასულ კვირაში კი ერთი ეგეთი ამბავი კიდევ მოხდა — ზვიად ძიძიგურმა თავისი პარტიის სამეგრელოს განყოფილების საჭე ვინმე წურწუმიას ჩააბარა, რომელიც, როგორც ამბობენ, წლების განმავლობაში როლანდ ახალაიას მარჯვენა ხელი იყო, ხოლო ქართულ პოლიტიკაში, როგორც მოგეხსენებათ, მემარჯვენეობა და მემარცხენეობა იმით განისაზღვრება, ვინ რომელი ხელით ეწევა ჩუკენობას, ჩუკენობის მაგალითები კი ამ ქვეყანაში ბევრზე ბევრია, კვირა არ გაივლის, რაღაც ასეთი რომ არ წაიკითხო:

„ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილის ინფორმაციით, დათა ახალაიას სანდრო გირგვლიანის წამების ორგანიზების ბრალდება მოეხსნა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ზაქარეიშვილმა განუცხადა, ბრალდების მოხსნის გადაწყვეტილება პროკურატურამ მიიღო: „სანდრო გირგვლიანის წამებაში ბრალი არც ერთ პირს არ აქვს წარდგენილი. გირგვლიანის გარდაცვალების გარემოებები გამოძიებით დადგენილი არ არის, საქმე გაუხსნელია. საბოლოოდ გამოჩნდა, რომ გირგვლიანის საქმით პროკურატურა ახორციელებდა დავით ახალაიას პოლიტიკურ დევნას, შავი პიარის ორგანიზებას და სამართლებრივ ჯამბაზობას!“

იფ, იფ, რა კარგია — „სანდრო გირგვლიანის წამებაში ბრალი არც ერთ პირს არ აქვს წარდგენილი“.

მალე ისე გამოიყვანენ, რომ სანდრო გირგვლიანი არავის უწამებია, არ მოუკლავთ, საქმე არ ჩაუფარცხავთ, მკვლელები ხელისგულზე არ უტარებიათ და, რადგან ეს ასე გამოვა, ბარემ იმასაც შემოგვაპარებენ, რომ არც 2008 წლის აგვისტო ყოფილა და არც 2011 წლის მაისი, მაგრამ გული მიგრძნობს, არ გამოვა ეგ ამბავი და აი, რატომ: „წუხელ, ტელეკომპანია „იმედთან“, გადაცემა „რეაქციის“ მეორე ბლოკის დასრულების შემდეგ ინციდენტი მოხდა. გადაცემის წამყვანის, ინგა გრიგოლიას ინფორმაციით, სტუდიიდან გასულ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს არხის შენობასთან საკუთარ ჯგუფთან ერთად მელორ ვაჩნაძე დახვდა და მათ შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. ამასთან, ტელეკომპანიის ცნობით, ვაჩნაძემ და მისი ჯგუფის წევრებმა ლადო ვარძელაშვილის მანქანას კვერცხები დაუშინეს. „იმედთან“ მისული ახალგაზრდები ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების მიერ, გადაცემაში გაკეთებულ განცხადებებს აპროტესტებდნენ, მათ შორის აგვისტოს ომთან დაკავშირებით“.

ახლა ვხვდები, რატომ გაძვირდა კვერცხი და იმასაც ვხვდები, რომ, რაც დრო გავა, უფრო მეტად გაძვირდება — მოთხოვნა იზრდება და იმიტომ.

მაგალითად, გასული კვირის ერთ-ერთი მთავარი თემა თბილისის გზებზე შექმნილი მდგომარეობა იყო. მერია ხელს საკრებულოსკენ იშვერს, საკრებულო მერიისკენ. მერია ამბობს, ბიუჯეტი რომ არ დაგვიმტკიცეს, ვერაფერს ვაკეთებთო, საკრებულო იძახის, შარშან რატომ არაფერი ქნესო. ეგეთი ამბავია დედა-თბილისის საკვერცხეებში, თუმცა წითელი ხიდის გმირებისა და მაპ-ზე უკეთესის არ იყოს, არც იმით დაინტერესებულა ვინმე, რატომ არის, შარშანწინ დაგებული ასფალტმა ჩაილურის წყალი უკვე წელს რომ დალია? ვინ დააგო, როგორ დააგო და, საერთოდ, დააგო თუ არა?

ერთი კვლევა რა გახდა, მამაძაღლი!

„საქართველოს სომხური სათვისტომოს წარმომადგენლებმა გაერო-ს წარმომადგენელთან შეხვედრისას საბჭოთა პერიოდში სომხური ეპარქიისგან ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის საკითხი დასვეს. საქართველოს სომეხი საზოგადოება გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის უფროს მრჩეველს სამხრეთ კავკასიაში ვლადიმირ შკოლნიკოვს კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდულ ცენტრში „ჰაიარტუნ“ შეხვდნენ. შეხვედრა გაიმართა თემაზე — „საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების მდგომარეობის ანალიზი გაერო-ს ადამიანის უფლებათა ორგანოების პრიზმის მიღმა“. დისკუსია ფონდ ღია საზოგადოება — საქართველოს“ მიერ მხარდაჭერილი პროექტის „პოლიტიკური მონაწილეობა დიალოგის გზით“ ფარგლებში მოეწყო“ — როცა საქმე უმცირესობებს ეხება, სოროსის ფონდი ძალასა და ენერგიას არ... სტოპ!!! ერთი იდეა მომივიდა — ლესბოსელებმა, გეებმა, ბისექსუალებმა, ტრანსსექსუალებმა, იეღოველებმა, სომხებმა და ფემინისტებმა უნდა მიმართონ სოროსის ფონდს თხოვნით, რომ დაფინანსდეს კვლევები „ვინ გარბოდა აგვისტოს ომის დროს საქართველოდან“ და „რატომ დაემსგავსა თბილისის გზები სოფლის შარაგზებს“.

ისტორიას არ ახსოვს, სოროსის ფონდს პედერასტებისთვის რამეზე უარი ეთქვა, როცა საქმე მათ, პედერასტებს ეხება. ცუდი ის არის, რომ მერე მაგათი დასამადლებლები გავხდებით, იტყვიან, დიდუბეში ორმოები ხომ ამოვავსეთ, ჰოდა, კეთილი ინებეთ, ერთმანეთის ამოვსება კონკასთან რომ ქორწინების სახლია, იქ დაგვირეგისტრირეთო.

არ მინდა, ბატონო, ეგეთი გზები! ეგეთ გზებს იმ ვარსკვლავებთან მივყავართ, სინამდვილეში, შავი ხვრელები რომ არიან.

გასულ კვირაში სრულიად შემთხვევით გადავრთე ტელეიმედზე და დაახლოებით ნახევარი წუთის განმავლობაში პირდაღებული ვუცქერდი, როგორ ხაოდნენ ვახო რჩეულიშვილი და ნინა წკრიალაშვილი რაღაც სიმღერას რუსის კონდუქტორზე. მერეღა გავიგე, რომ შოუს „ორი ვარსკვლავი“ ჰქვია.

ეს ტელეკომპანია აშკარად დაწყევლილია. აბა, ნინა წკრიალაშვილს რომ ამღერებ და ლადო ვარძელაშვილს რომ აბლატავებ, დაწყევლილი ხარ, მა რა ჯანდაბა და დოზანა ხარ?!

„ქუთაისის „ტორპედოს“ გულშემატკივრებმა მოედანზე ჯერ ქვების სროლა დაიწყეს, შემდეგ კი სტადიონზე ჩავიდნენ და „დინამოს“ ფეხბურთელებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. თამაში ჩაშლილად გამოცხადდა. სიტუაცია პოლიციის ჩარევის შემდეგ განიმუხტა. შემთხვევის შედეგად დაშავდა „დინამოს“ რამდენიმე ფეხბურთელი და კლუბის ფანკლუბ „გლადიატორების“ წევრები, რომლებსაც სამედიცინო დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს. „დინამომ“ და მისმა გულშემატკივრებმა ქუთაისი საპატრულო ეკიპაჟის დახმარებით დატოვეს“, — ქართული ფეხბურთიც დაწყევლილია.

საერთოდ კი, ყველაფერი გემოვნების საქმეა, ტელეკომპანია „იმედში“ დები პატარკაციშვილების, ფეხბურთის ფედერაციაში ძმები არველაძეების.

მოკლედ, კადრები წყვეტენ ყველაფერს და სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს.

„90-იანი წლებიდან მოყოლებული მავნე პრაქტიკით, სახელმწიფო უწყებები გადაჭედილია ყავისმომდუღებლებით და არაფრისმკეთებლებით. საჯარო სამსახურის რეფორმა დავიწყეთ ჩვენ. მე ვიცი, რომ ძალიან ბევრი არაკომპეტენტური ადამიანია სამინისტროებში და ვიცი, რომ ეს საკითხი მწვავედ დგას. მოხდება ამ არაკომპეტენტური კადრების ჩანაცვლება. თუმცა ეს ერთ დღეში ვერ მოგვარდება და ამას სჭირდება თანმიმდევრულობა. სანთლით ვეძებ კვალიფიციურ კადრებს. საქართველოში ძალიან ჭირს კვალიფიციური კადრი“, — განაცხადა გასულ კვირაში ირაკლი ღარიბაშვილმა.

„აანთეთ სანთელი, სიბნელეში სიკვდილი არ მინდა“, — ასეთი იყო ო’ჰენრის უკანასკნელი სიტყვები.

არც ჩვენ გვინდა სიბნელეში სიკვდილი, მაგრამ ვინ გისმენს?

გასულ კვირაში კვლავ გრძელდებოდა აღშფოთებულ-შეშფოთებული ენჯეოშნიკების კვნესა-გოდება — „ჩვენ კვლავ გვისმენენ“.

საქმეც სწორედ მაგაშია — მათ კვლავ უსმენენ! კვლავ უსმენენ მათ, რომლებსაც ცხოვრებაში თითი თითზე არ დაუკარებიათ, არაფერი უსწავლიათ და არც არაფერი შეუქმნიათ, გარდა რაღაც ჭირიანი არასამთავრობო ორგანიზაციებისა. მათი ხმა ყოველთვის ფარავდა იმათ ხმებს, ვისაც მართლა უნდა უსმინო და არც სანთელია საჭირო, რომ ეს ადამიანები მოძებნო და საქმე ჩააბარო.

ეგეც არ იყოს და, ვინმემ ხომ უნდა აანთოს ის სანთელი?

„ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პროპორციულ სიებში კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიების თანაფარდობა ცნობილია. როგორც ჟურნალისტებს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ განუცხადა, 50% პარტია „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“ ექნება, დანარჩენ 50%-ს კი კოალიციაში შემავალი სხვა 5 პოლიტიკური ძალა – რესპუბლიკელები, კონსერვატორები, თავისუფალი დემოკრატები, მრეწველები და ეროვნული ფორუმი გაინაწილებენ“, — ასეთი ნიუსიც იყო და იმედი მაქვს, ისე არ მოხდება, რომ თავთავიანთი 50-50 პროცენტის ნახევარი ყოფილ ნაცებს დაუთმონ, თუმცა რას გაიგებ... და რას არ გაიგებ — „ელისო ჩაფიძე კამპანია „ეს შენ გეხება”-ს მონაწილეებს პარლამენტთან თანამშრომლობისკენ მოუწოდებს“.

ღადაობ, ელისაბედ?

**მ.ბ.შ.მ. (მეც ბევრი შეკითხვა მაქვს)** „ახლა მე ერთი შეკითხვა მინდა დაგისვა და, კაცმა რომ თქვას, ძალიან მაგარი შეკითხვაა, რადგან უაღრესად პირდაპირია, მაგრამ მაინც ჩემსას უნდა ვეცადო: აი, შენ, როგორ გგონია, როგორი ხარ — კარგი თუ ცუდი? როგორი ხარ, ა, სერგო — თუ კარგი ხარ, რატომ და, თუ ცუდი, მაინც რატომ? ნუ გერიდება, ხმა ამოიღე, პასუხი გამე, თამამად, თამამად, სერგო...“ — და გრიშამ თავი ასწია. მაგრამ სერგო იქ აღარ იყო.

***(გურამ დოჩანაშვილი,***
***„იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი,***
***ანუ გრიშა და მთავარი“)***

# გუბაზ სანიკიძემ „ფორუმის“ დახურულ შეხვედრაზე სკანდალური განცხადებები გააკეთა



**„პარტია „ოცნება“ ყოფილი ნაციონალებით გაივსო... ისემც უქნიათ, შიგნით ყიზილბაშები შეუყვანიათ!“**

**„მინისტრთა კაბინეტში რეალურად ორი ეფექტური მინისტრია — ნარმანია და სერგეენკო... ზოგი კი, საერთოდ, დედამიწას არ ატყვია!“**

**„მთავრობას კარგი საკადრო პოლიტიკა არ აქვს, შეცდომებს ვუშვებთ, რაღაცები იგვიანებს...“**

რუსუდან შელია
557-100-768

**ერთ დროს გულახდილი რესპონდენტი წელიწადნახევარია, მედიისთვის მიუწვდომელ პოლიტიკოსად იქცა... „ვერსიას“ პირობა მისცა, ჩემი გეგმები მაქვს და თებერვლის ბოლოს ინტერვიუს აუცილებლად მოგცემთო, მაგრამ პირობა პირობად დარჩა... რამდენიმე დღის წინ კი, „ვერსია“ ნაძალადევის რაიონში, „ეროვნული ფორუმის“ პარტიულ კონფერენციაზე აღმოჩნდა, სადაც გუბაზ სანიკიძემ მის ირგვლივ დაგროვილ კითხვებზე პარტიის წევრებს უპასუხა... პარტიულ კონფერენციაზე გუბაზ სანიკიძის წარმოთქმული სიტყვის სტენოგრაფიულ ჩანაწერს გთავაზობთ.**

— საქართველოში გაჩნდა ადამიანების ჯგუფი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი, რომელიც ბოლო 22 წლის განმავლობაში სხვადასხვა პარტიიდან პარტიაში მომთაბარეობს. ჯერ იყვნენ მოქალაქეთა კავშირში, შემდეგ ნაციონალურ მოძრაობაში, ახლა კი — „ქართულ ოცნებაში“... ასეთი ტიპის ადამიანები, როგორც წესი, უნამუსო ხალხია. საქართველო ისეთ უკუღმართ ქვეყნად ჩამოვაყალიბეთ... ნურავის დავაბრალებთ ამას... ქართული საზოგადოება ჩვენი პროდუქტია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ქართველები ღირსებებზე ხშირად ვსაუბრობთ სუფრაზე, თუ თამადა გვყავს კარგი... მინდა, გესაუბროთ მინუსებზე, რომელმაც გამოიწვია ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც ქვეყანა და თითოეული ჩვენგანი იმყოფება. საქართველო ქვეყანაა, სადაც უნამუსოები უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე — ნამუსიანი ხალხი. უსამართლო ქვეყანაა. სანამ აფხაზსა და ოსს დავუძახებთ, მოდი, შემომიერთდიო, მანამდე აფხაზსა და ოსს უნდა დავანახოთ, რატომ უნდა იცხოვრონ საქართველოში... ვთქვათ, კარი გააღო და შემოვიდა აფხაზი და მეუბნება, კი, ძმაო, ვბრუნდებით უკან, ოღონდ ერთი მიზეზი მითხარით, რატომ უნდა დავბრუნდე საქართველოში და რა გაქვთ ქართველებს კარგი? უსამართლო სახელმწიფო, დაქცეული ეკონომიკა, საკუთარი მიწები გაყიდული, წინა ხელისუფლება ანტიქართული... თქვენ ენას, კულტურას ვერ იცავთ, ჩემსას როგორ დაიცავთ? თქვენსაც ვერ ავითარებთ, ყველაფერ ქართულ დასცინით, სამართალი არ გაქვთო, გვეტყვიან... გადით სოფელში და ნახეთ, ქართველმა სახლი ბოლოს როდისააშენა. ხაზს ვუსვამ — ქართველებს, თორემ მარნეულისკენ რომ წახვიდეთ, სულ ახალი შენობებია. მიზეზი ხომ უნდა ვიკითხოთ, რაშია საქმე? ვინც ახალს აშენებს, ის დამნაშავე არ არის, ვინც ვერ აშენებს, იმან უნდა მოძებნოს მიზეზი. რეალობა ასეთია — დღევანდელი ხელისუფლების მიმართ ძალიან დიდი მოლოდინი იყო. აქ ითქვა, რამდენად სამართლიანია კოალიციაში შემავალი ხუთი პარტია „ფორუმის“ მიმართო. გეტყვით, რომ სამართლიანად არ გვექცევიან. მათ თავიანთი ინტერესები აქვთ, ჩვენ ერთმანეთის პარტიულ საქმიანობაში არ ვერევით. პარტია „ოცნება“ რომ ყოფილი ნაციონალებით გაივსო, პრეტენზიას ვერ წავუყენებ, რადგან ეს მათი პარტიული საქმეა. ისემც უქნიათ, შიგნით ყიზილბაშები შეუყვანიათ. ამას ვერ დავუშლი ისევე, როგორც, ბოდიში მომითხოვია, მაგრამ ჩვენი პარტიის საქმიანობაში ვერცერთი ჩაერევა. კოალიცია ექვსი პოლიტიკური პარტიისგან შემდგარი გაერთიანებაა, რომელიც რაღაცისთვის კი არა, რაღაცის წინააღმდეგ შეიქმნა. ეს „რაღაც“ ნაციონალური მოძრაობა იყო, რომელსაც ცალ-ცალკე ვერ ვერეოდით, შემდეგ ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, რომელმაც თავი მოგვიყარა და ლიდერის პრობლემა გადაწყვიტა. საბოლოოდ, დავანგრიეთ და გავიტანეთ. საერთოდ, ხელისუფლება სამ ფაზად უნდა შეცვალო:

1. საპარლამენტო. 2. საპრეზიდენტო. 3. ადგილობრივი არჩევნები. 2/3-ით ხელისუფლება შევცვალეთ, დარჩა 1/3, რომელიც ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ანუ თავში ნაციონალები დავამარცხეთ, ახლა ქვემოთ უნდა დავამარცხოთ, რადგან გამგეობებში არაფერს რომ არ აკეთებენ, დღემდე „ნაცები“ სხედან. ადგილებზე „ნაცების“ მოსასპობად და გასანადგურებლად ორი გამოსავალი არსებობდა: ან რომელ სართულზეც იყვნენ, იქიდან გადმოგვეყარა, რომლის მომხრე არ ვიყავი. ასე ქვეყანა არ დალაგდებოდა, იმათ რომ დახოცავდი, იმათი შვილები გაიზრდებოდნენ და ჩვენ შვილებს ოც წელიწადში დახოცავდნენ, ეჭვი ხომ არ გეპარებათ?! მეორე გამოსავალი იყო დროში გაწელილი, თუმცა ბევრად ცივილური — ადგილობრივი არჩევნები 15 ივნისს იქნება, წელიწადნახევარი ლოდინი მოგვიწია და ვისაც ნაციონალური მოძრაობა არ მოსწონს, მივიდეს არჩევნებში და გამგეობიდან ყველა „გამოიხვეტება“, ერთიც აღარ დარჩება.

მთავარი ამოცანაა ქართველებისთვის, რეალურად შევაფასოთ ის, რაც გვჭირს. ჩვენი პარტიის ბევრი წევრი გვეუბნება — ადგილობრივ არჩევნებში ხალხი არ მოვაო. თუ არ მოვა, გამოდის, რომ ამდენი ტყუილად „გვიჩალიჩია“. საპრეზიდენტოც და საპარლამენტოც წყალში ჩაგვივარდება, თორემ ჩემმა მტერმა მოიგოს, როგორც ნაციონალები შეძლებენ გამარჯვებას და თქვენმა მაწყევარმა იცხოვროს ისე...

ბევრი პრობლემა, რაც ამ პარლამენტმა შეძლო, არის ის, რომ თვითმმართველობის საკანონმდებლო ბაზა იყო, ეს ერთ-ერთი სერიოზული გადაწყვეტილებაა, რაც შეიძლება პარლამენტს მიეღო მთელი ოთხი წლის განმავლობაში. ამის უპირატესობებს ადგილობრივი არჩევნების შემდეგ იგრძნობთ. რაიონები, სოფლები და ქალაქები ფეხზე დადგება, რადგან ბიუჯეტი უჩნდებათ, ქონების განკარგვა მათ ხელში გადადის... რაიონებსა და ქალაქებს თავისი ფული გაუჩნდებათ, ადრე გამგებელს მიშა ნიშნავდა, ის გამგებელი, ვინც ნიშნავს, იმაზეა მიბმული და ვინც დანიშნა, იმას აბარებს „აჩოტებს“, ხოლო თუ ხალხმა აირჩია, ყველა ვარიანტში, ხალხზეა ორგანიზებული.

ვაგრძელებ, რა მიზეზებია ჩვენი დუმილის. პირადად მე, მიმაჩნია, რომ მთავრობაში არასწორი პოლიტიკაა. ბევრი პარტიის წევრი გვეუბნება, კოალიციიდან გამოვიდეთ, რადგან კარგად არ გვექცევიან, არ მოგვცეს თანამდებობები, არ გაგვიყვეს ლუკმა, არ დაასაქმეს ჩვენი ხალხი, ამიტომ გამოვიდეთ და „ოცნებას“ დავარტყათო. არის ასეთი მოსაზრება, მხოლოდ წევრებში კი არა, ჩვენ ხელმძღვანელობაში. ჩვენ ნამდვილად კოალიციაში ვართ, მაშინ ჩვენ ჩვენი წილი უნდა მივიღოთ. როცა ექვსია, იქ ნაკლებ წილს ვიღებთ, როცა კოალიციაში შედიხარ, ვიღაცას ანგარიში უნდა გაუწიო. დღევანდელი კოალიციის პრობლემა არ არის ერთი პოლიტიკური გუნდი. ჩვენ ვიცოდით, რას ვებრძოდით, მაგრამ რისთვის ვიბრძვით, ეს გარკვეული ჯერ არ გვაქვს. 15 ივნისის შემდეგ დაიწყება საუბარი, რას ვაშენებთ და როგორ ქვეყანას ვაშენებთ. აქ, უკვე შიგნით რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები გვაქვს. ეს ცუდი არ არის. „რესპუბლიკელებს“ სხვა იდეოლოგია და მოსაზრებები აქვთ, „ფორუმს“ — სხვანაირი, დანარჩენი პარტიის იდეოლოგია კი ვერ გავიგე, რადგან ასეთი არ აქვთ. საქართველოში სეზონურ პარტიებს რა დალევს, თოვლივით მოვლენ და გაზაფხულზე დნებიან. მკვეთრად გამოკვეთილი იდეოლოგიის მქონე პარტია მხოლოდ ორია: აქეთ — ჩვენ, იქით — რესპუბლიკელები. მიუხედავად ამისა, ჩვენ დაპირისპირებულები არ ვართ და ერთმანეთს დედას არ ვაგინებთ. როცა იცი, რომ იდეოლოგია აქვს, უკვე პარტნიორული ურთიერთობა გვაქვს. არის საკითხები, რაშიც არ ვეთანხმებით ერთმანეთს, მაგრამ უამრავი თემაა, რაშიც ვეთანხმებით. მაგალითად, თვითმმართველობის კანონმდებლობა „ფორუმმა“ და რესპუბლიკელებმა გავიტანეთ, სხვები თავს მაინცდამაინც არ იკლავდნენ. ზოგიერთებს საერთოდ არ უნდოდათ ეს ცვლილება. ლამის თვეები დაგვჭირდა, რომ გაგვეტანა. ჩვენთან გაჩნდა წარმოდგენა, რომ გახდა გუბაზი დეპუტატი და წამოწვა, მიშამ გადაუღო სურათი, რომ სძინავს სხდომაზე... უმრავლესობა ფიქრობს, მათ შორის, ის ადამიანებიც, რომლებიც „ფორუმის“ მიმართ სიმპათიით არიან განწყობილნი, რომ გუბაზ სანიკიძე შავ მანქანაში ჩაჯდა და აღარ ახსოვს აღარც საქართველო და არაფერი. ახლა რასაც ვამბობ, მთავრობას რომ კარგი საკადრო პოლიტიკა არ აქვს, შეცდომებს ვუშვებთ, რაღაცები იგვიანებს, რაღაცებს დროულად არ ვაკეთებთ, ამაზე ხმამაღლა რომ ვისაუბრო, ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციაში უნდა გადავიდეთ. კი ბატონო, გადავიდეთ ოპოზიციაში, მაგრამ ეს ყველაზე მეტად ნაციონალურ მოძრაობას გაახარებს. გამოვა, რომ ვითარების ამჭრელები გამოვალთ, თუმცა არც ამის უსაშველობა არსებობს. თუ ველარ ითმენ და ვერაფერს აგებინებ... ისე, ასე არ არის საქმე, ძალიან ბევრი რამე ჩვენ ჭკუაზეა და კოალიციაში ხშირ საკითხებში ჩვენ ჭკუაზე დადიან... ეს საკითხი ლეგიტიმური იქნებოდა... ჩვენ ყრილობისთვის ვემზადებით, სადაც უნდა განვიხილოთ, რას ვაპირებთ. შეიძლება, ერთი წევრი ადგეს და გვითხრას, მოდი რა, გავიდეთ და ცალკე „შევუბეროთ“ და ჩვენი ალალი და უმადლო ავიღოთ. თუ უმრავლესობა ამას მხარს დაუჭერს, ჩვენ ამას დავემორჩილებით, ოღონდ ერთი პირობით: თვითონ პარტიის ყველა წევრმა უნდა ვაგოთ პასუხი, რა დაემართება შემდეგ „ფორუმს“ — ქართველი ხალხი გმირებად ჩაგვთვლის თუ მოღალატეებად. ეს მოსაზრება არის, დღე და ღამე ამაზე ვფიქრობ. საბჭოში სამი ადამიანი ვართ, ბატონი კახა შარტავა, რეზო შავიშვილი და მე, გუბაზ სანიკიძე. რეზო შავიშვილს ჰქონდა მოსაზრება, მოდი, რა, ცალკე გავიდეთ. კი ბატონო, კოალიცია დარჩეს ერთიანი, მაგრამ ადგილებზე ცალ-ცალკე გავიდეთ. არგუმენტი იყო ასეთიც, რომ ნაციონალური მოძრაობა, რომელიც მეორე ადგილს იკავებს და მთავარი ოპოზიციური ძალაა, „ფორუმი“ ნაციონალებს, მესამე-მეოთხე ადგილზე გადავაგდებთ. ამაში ლოგიკა მართლაც არის, დემოკრატიასაც ამყარებ, მრავალფეროვნებასაც ზრდი, კოალიციაც ერთია, მაგრამ რესპუბლიკელმა და ფორუმელმა იომოს ერთმანეთში, ვის რამდენი აქვს. ამ შემთხვევაში, ჩვენ ხალხს ვერ გავაგებინებდით, ჩვენ რას ვაკეთებთ. ყველა ჩათვლიდა, რომ „ფორუმმა“ კოალიცია გახეთქა. ჩვენი კოალიციიდან გამოსვლა, სავსებით შესაძლებელია, მთავრობის გადაყენების მაპროვოცირებელი ყოფილიყო.

*დასასრული მე-4 გვერდზე*






# რატომ არის ყირიმი რუსეთი ანუ სად ერეკლე და სად... ჭყოიძე

გიორგი იაშვილი

არჩილ ჭყოიძე ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარე და კოალიცია „ევრაზიული არჩევანი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერია. სწორედ ამ ადამიანს მოუვიდა აზრად, რუსეთის მხარდასაჭერი აქცია გაემართა. აქცია ლოზუნგით — „ყირიმი რუსეთია“ — კარგად რომ არ დასრულდებოდა, ჭყოიძეს კარგად უნდა სცოდნოდა და სავარაუდოდ, იცოდა კიდეც, თუმცა რუსეთის საელჩოსთან მაინც რიხით მივიდა. არანაკლებ რიხით დახვდნენ ლოზუნგით — „ყირიმი უკრაინაა“ და იქ ამბავი ატყდა, თქვენი მოწონებული. „ყირიმ-უკრაინელებს“ წინ აკო მინაშვილი მიუძღვოდა და იმის გათვალისწინებით, რომ აკოს არმია ბევრად დიდი იყო, მინაშვილი ამაყად მიაბიჯებდა, თორემ რომ მახსოვს მაგათი მთავარსარდალი რუსეთის გაგონებაზე რას შვრებოდა, ეჭვი მეპარება, მინაშვილს მარტო მიებედა იქ მისვლა. საბოლოოდ, ყველაფერი ახალქართული (ძველებური და მამა-პაპური აღარაფერი გვინდა) ჩხუბით, თმის დაწიწკვნითა და რამდენიმე ადამიანის დაპატიმრებით დასრულდა. მერე იყო, მინაშვილმა ჭყოიძესა და მის მომხრეებს მოღალატეები რომ უძახა, საკუთარ ამალას — პატრიოტები და რუსეთის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე მალე ისეთივე სიჩუმე ჩამოწვა, როგორიც ნაციონალების საარჩევნო შტაბში იყო 2012 წლის 1 ოქტომბრის ღამეს.

და მაინც, საინტერესოა, რა უნდოდა ჭყოიძეს და რა უნდოდა მინაშვილსა და მის „თავისუფალ ზონას“? ზოგადად, რუსეთი ოკუპანტი რომ არის, ჩვენ კი არა, ყველაზე კარგად ეგებ, თავად რუსეთის პრეზიდენტმა იცოდეს, მაგრამ... ამ ყირიმზე რომ ავტეხეთ ერთი ამბავი და საინფორმაციო გამოშვება ამ თემით რომ იწყება და სრულდება, დაგავიწყდათ, ხალხო, რომ „ყირიმი უკრაინაა“ კი არა, „აფხაზეთი და ოსეთი საქართველოა“ რამდენი ხანია არ გვითქვამს? ახლა არ დამიწყოთ, საქართველო-რუსეთის სარაგბო მატჩზე გამოვკიდეთ ეგ პლაკატი და ამით მსოფლიოს კიდევ ერთხელ შევახსენეთ თავიო. შარშან? შარშანწინ? იმისწინ და კიდევ იმის წინ სად იყავით? მოლაპარაკებებზე რომ დაბრძანდებოდით ჟენევასა თუ სტრასბურგში, მაშინ რატომ არ აფრიალებდით ამ პლაკატებს და რატომ არ შედიოდით ამ პლაკატებით რუსეთის დელეგაციასთან შეხვედრაზე? მე გეტყვით, რატომ — ამის გაკეთებას ის ადგილი უნდა, რომელიც არც მანამდე გქონდათ, არც ახლა გაქვთ და არც არასოდეს გექნებათ! სულმნათი ჭაბუასი არ იყოს, ამ პლაკატებით რომ ივლით ევროპაში, ის კაცები არ ხართ თქვენ, ის კაცები ხართ, რუსეთის თვითმფრინავების ძრავის ხმაზე დაოთხილი რომ გაიქცევით და ის კაცები ხართ, კიკუს თუმანს რომ გადაუხდით გახდის სანაცვლოდ. ახლა არ მითხრათ, არ გადაგვიხდიაო, თორემ აქეთ ლისაბონს გაგახსენებთ, იქეთ — ბაკურიანს და იქ გამართულ მოდის კვირეულს და კიდევ რაღაც-რაღაც ნაწილებმოჭმულ ქალებს. ჰოდა, ჩემო (პრინციპში, რაღა ჩემო, თქვენი იყოს) აკო, სანამ ჭყოიძეს მიეჭრები და ომახიანად შეუტევ, სიდედრს უთხარი, ჯერ ცხვირი მომხოცე-თქო...

ახლა, რაც შეეხება ჭყოიძესა და მის ამალას. ისე, ამ კაცს ერეკლეს ორგანიზაციის თავმჯდომარეობა სწორად შეურჩევია. შედარებისთვის ტვინის ჭყლეტა აღარ მოგვიწევს და მარტივად ვიტყვით, სად ერეკლე და სად... ჭყოიძეო. რა გერუსეთება და რა გეყირიმება, შე კაცო? შენი ქვეყნის ოცი პროცენტი ფუკასავით რომ აგაცალა რუსეთმა და კიდევ იმას უძვრები თავით იმ ადგილას, ნაციონალებს რომ არ აქვთ, არ გრცხვენია? მეეჭვება, ყირიმ-რუსეთის ისტორია ისე იცოდე, ასე თამამად ამტკიცო, რუსეთიაო და თუ არ იცი, გაჩუმდი და საქართველოს ისტორია წაიკითხე. წაიკითხე და შენი დედა (ცუდი არაფერი იფიქროთ) რუსეთის მისამართით გაიშვირე თითი (ატაკე-თქო, ხომ არ გთხოვ) და იძახე, ამ ქვეყანამ ბოლოს აფხაზეთი და ოსეთი წამართვა, უფრო ადრე სოჭი წამართვა და ახლა მავთულხლართებს ქართველთა სისხლითა და ოფლით მორწყულ მიწაზე ისევ ავლებს-თქო, მაგრამ ამასაც ის უნდა, ნაციონალებს რომ არ აქვთ და როგორც ჩანს, არც შენ გქონია! ჰოდა, რეალურად, გუშინ ამ ნაწილის არმქონეთა შეკრება იყო და დედას გაფიცებთ, მითხარით, აქციის შემდეგ რომ ამტკიცებდით, ერთმანეთს პანჩურები ვურტყითო. სად ურტყით, სად?!

სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ვიცი, რა მოხდება და როგორ მოხდება ყირიმში, მაგრამ ასეთ ამბებში რუსეთს უკან დახევა არ სჩვევია და სერიოზული ეჭვი მაქვს, არც ამ შემთხვევაში დაიხევს უკან. ჰოდა, თუ არ დაიხევს, ვიღაც აუცილებლად დაიხევს და სწორედ მაგ დროისთვის უნდა ვიყოთ მზად და პლაკატიც — „აფხაზეთი და ოსეთი საქართველოა“ მუდამ მზად გვქონდეს. ყირიმში კი საქართველოს კი არა, ვგონებ, ევროპის ბედი წყდება, მხოლოდ ჩვენ ნუ დავიბრალებთ, დიდი იმპერიის ნგრევას ნანგრევებიც დიდი აქვს და კიდევ ერთხელ არ მოგვიყოლოს.

# გუბაზ სანიკიძემ „ფორუმის“ დახურულ შეხვედრაზე სკანდალური განცხადებები გააკეთა



*მე-3 გვერდიდან*

უმრავლესობაში არ ხარ, ნაციონალებიც გაიხარებენ, ქვეყნის მტრები შიგნითაც გაიხარებენ. ამის გაკეთება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ რასაც ვაკეთებთ, ხელისუფლებაზე უკეთესს შევთავაზებთ. ამას ვერ შევთავაზებთ, რადგან მარტო აღმოვჩნდებით — ყველა ჩვენ წამოგვესევა, მათ შორის, ყოფილი „მოქაკავშირელები“, გარეოპოზიციაც. ტელევიზორში დასვამენ სხვას, ჩვენ — არა და სიმართლეს უკუღმა დაატრიალებენ. იტყვიან, კახა შარტავამ მამამისის ხსოვნას უღალატა, გუბაზ სანიკიძემ კი, მამამისის წიგნებზე უარი თქვა. რა, არ უქნიათ? შემდეგ, უნდა დაჯდე ტელევიზორში და უნდა თქვა, — არა ბატონო, ეს ისე კი არ მიქნია, ასე ვქენიო. მერე ჟურნალისტი გეკითხება — რომ ქენი, ახლა ქართველ ხალხს რას სთავაზობო. ვერაფერსაც ვერ ვთავაზობ, ამჯერად, ხვალ რა იქნება, ვნახოთ.

ჩვენი კოალიციიდან გასვლის საკითხი უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეცვალა. ჩვენ ახლა ისეთ ვითარებაში ვართ, როგორიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც არ ყოფილა. თვით კარიბის კრიზისიც კი, 60-იან წლებში, ამ მნიშვნელობის არ ყოფილა. ჩვენ და მთელი მსოფლიო უფსკრულთანაა მისული. იაპონიიდან დაწყებული, ცეცხლოვანი მიწის ჩათვლით, ეს კრიზის ყველას შეეხება. არ გაშინებთ... პარლამენტშიც იმისთვის გამოვედი სიტყვით, რომ რეალობა შევაფასოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში განსაცდელის არ გეშინია და მომზადებულიც ხარ. როცა მომზადებული არ ხარ და აღმოჩნდება, რომ ყველაფერი მეორე ვარიანტით განვითარდა, რომელზეც სამი წამიც არ გიფიქრია, მერე პანიკაში ვარდები. რაც 2008 წელს იყო. ყველას ეგონა, მიშას ჩაწყობილი რუსებთან, ხალხსაც და ჯარსაც. ჩვენ ხომ ჩაწყობებზე ვართ მიჩვეულნი. ექსპერტებმაც ვერასოდეს ვერ გამოიცნეს, რა ხდება, ხომ შეიძლება, ცარიელი თოფი ერთხელ მაინც გაგივარდეს. მთელი პროპაგანდაა აწყობილი იმაზე, რომ ხვალ ან ზეგ რუსეთს გაგუდავენ. ხალხშიც ძალაუნებურად განწყობაა, რომ პუტინი ხვალ თუ არა, გამთენიისას დაიშლებაო. ტყუილია და სისულელეა. ამ დაპირისპირებაში რუსეთს უფრო ძლიერი პოზიცია აქვს. თუ ბოლო 25 წლის განმავლობაში ქართველები ჭკუას ნახევრად მაინც გამოვიყენებთ, შეიძლება ამ ვითარებიდან „გამოვძვრეთ“. სააკაშვილი და ნაცები ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყვნენ, რუსი უკვე თბილისში იქნებოდა. ბევრს შეიძლება, უნდა რუსი, საქართველოში შემოვიდეს, მაგრამ მათ რომ ჰგონიათ, ისე არ იქნება. რუსი სხვანაირად შემოვა. პუტინი საბჭოთა კავშირის კი არა, რუსეთის იმპერიის აღდგენას გეგმავს. ამიტომ დამთავრდა დრო, როცა სამ ცალ კონიაკს ჩავიდებთ. რუსები დაჭკვიანდნენ და ნაცარქექიასი აღარ სჯერათ. იდეოლოგიაც აქვთ — მიწების დაბრუნება, რაც დაუპირისპირეს ე.წ. თავისუფალი სამყაროს იდეოლოგიას. იდეოლოგიურად და კონცენტრირების თვალსაზრისით, რუსი აგრესიული და ძალიან შეკრულია. პუტინს მხოლოდ მთავრობა კი არ უჭერს მხარს, რუსი ხალხი უჭერს მხარს. 80%-ზეა ასული, რუს ხალხს უნდა, რომ გახერხონ უკრაინა შუაში. ევროპელები ამ ქვეყანაზე საერთოდ არ არის, შეიკრიბებიან, დაიშლებიან. რა ქნან, საერთოდ არ იციან. ამერიკელებმა რეაქცია დაგვიანებით მისცეს და სად მივა, არავინ იცის.

ამას იმისთვის გეუბნებით, რომ თქვენ მეზობლებსაც უთხრათ. ჭორები არ უნდა დაიჯეროთ. რომ გეტყვიან, გუბაზ სანიკიძეს ბიზნესები აქვს ქუთაისში და მთავარი მაყურებელი ვარ, არ უნდა დაიჯეროთ. ამიტომ თქვენ მომზადებული უნდა იყოთ იმ საკითხებით, ვილაც რომ გკითხავთ, რაზე ილაპარაკა კონფერენციაზე გუბაზმაო, თქვენ მომზადებული პასუხი უნდა გასცეთ.

თუ უკრაინაში სამხედრო მოქმედებები დაიწყო, რაც ძალიან რეალურია, ასეთ პირობებში კი, სავსებით რეალურია რუსებმა დაიკავონ არა მხოლოდ საქართველო, არამედ აზერბაიჯანიც. სომხეთი ისედაც მათია... შეიძლება ჩრდილოეთ კავკასიაში შევიდეს და ჩრდილოეთ ოლქებიც წაიღოს. არ ვამბობ, რომ ეს აუცილებლად მოხდება, მაგრამ შეიძლება, მოხდეს. ალბათობა ყოველთვის 50/50-ზეა.

პოლიტიკური სპექტრი, ეს ჩვენი მთავრობა და მოკავშირე პარტიები, ჩვენი კოალიციიდან გასვლის შემთხვევაში, მთავარ დარტყმას ირაკლი ღარიბაშვილს მივაყენებთ. მასზეც მინდა გესაუბროთ.... ის ახალგაზრდა, გამოუცდელი კაცია, რადგან პოლიტიკაში არ ყოფილა, მაგრამ ის ნიჭიერი და ძალიან პატიოსანია. რაც მთავარია, ქართული ორიენტაციის კაცია. ის არავის დაუწვება. ამერიკაში ვიზიტისას, როგორც მიშა აკეთებდა, ოლონდ დამტოვეთ და რაც გინდათ, ქენითო, არ უქნია. ამიტომ შეიძლება ეს კრიზისი გამოვიყენოთ, რადგან, როგორც საფრთხე იზრდება, ჩვენი მნიშვნელობაც იზრდება. ჩვენი ამოცანაა — საფრთხე დავაპატარაოთ და აღმა-დაღმა არ ვიხტუნაოთ. რაც გვეკუთვნის, ის უნდა მივიღოთ და არა სადღეგრძელოები — მაპ-ს მოგვცემენ, ნატო-ში შევალთ, ევროკავშირი... არა, ეს არაფერს ნიშნავს, კონკრეტული ფინანსური, ეკონომიკური და თუ საჭიროა, სამხედროც... თუ ასე არ იქნება, ჩვენი საგარეო პოლიტიკის სერიოზული რევიზია მოხდება.

როგორ ვიქცევით? უახლოეს ერთ კვირაში, სავსებით შესაძლებელია რუსმა გვითხრას, დაანებეთ ნატო-ს და ევროკავშირს თავი, აგერაა აფხაზეთი და ცხინვალი, შემოგიერთებთ, ოლონდ ერთი პირობით — ამათთან ერთად მე უნდა შემომიერთდეო. ამერიკელი მოდის და გეუბნება, აფხაზეთს და ცხინვალს თავი დაანებე, რაც ხარ, დანარჩენს მოგხედავო. რა იქნება, არ ვიცი, პროგნოზს ვერ ვაკეთებ. მე კი არა, პროგნოზს ობამაც ვერ აკეთებს. ვერც „ცერეუ“ და ვერც ევროპა. თავმოწყვეტილი ბატებივით იკრიბებიან, ხომ უყურებთ, არა? ორი კვირაა, კრიზია და ყველაზე სერიოზული გადაწყვეტილება, რაც მიიღეს, ვიზებს შეუზღუდავენ რუსეთს. მეტი ვერაფერი ქნეს. ფინანსურ ბლოკადაზე რომ წავიდნენ, ევროპა უფრო დაზარალდება, ვიდრე — რუსეთი. რუსი ამას უძლებს, რა პრობლემაა, ოლონდ დიდი რუსეთი ჰქონდეს და ცხოვრებას კარტოფილზე და მჟავე კომბოსტოზე გადაატარებს. ევროპელი ამას ვერ იზამს, ასი გრამი პური რომ მოაკლდეს თვეში, შეიძლება, აჯანყდეს. ერთადერთი ერია რუსი ერი, რომელსაც გამოკვეთილი იდეოლოგია აქვს. ამისთვის იომებს, თავისი ჯარისკაცის სისხლსაც დაღვრის. რუსეთი ბოლომდე წამსვლელია, ევროპა კი, არაფერზეა წამსვლელი. არ ვამბობ, რუსეთისკენ უნდა წავიდეთ. ჩვენ სწორედ იმან დაგვღუპა, რომ ხან იქით გადავხტებით, ხან აქეთ გადმოვხტებით და კისერს ვიტეხთ. ჩემი მტერი აღმოჩნდა მარტო რუსების მხარეს. კაი, ჩვენ ვართ ვილაცის მხარეზე, ისინი ჩვენ მხარეს არიან?! ვინმე ჩვენ მხარეს არის?!

ახლა რასაც ვამბობ, ესეც დუმილში შედის. ამის თქმა არ შეიძლება, რადგან ჩვეულებრივი მოქალაქე შეიძლება, პანიკაში ჩავარდეს. არადა, ეს საპანიკო არ არის, არ ვამბობ, რომ კატასტროფაა, მაგრამ შეიძლება, მოხდეს უბედურება და როგორ ვიქცევით უბედურების დროს. რა გვაქვს გათვლილი? მით უმეტეს, იმის ფონზე, რომ ხელისუფლებაში ამ საკითხებზე ორად ორი კაცი ფიქრობს — ირაკლი ღარიბაშვილი და დავით უსუფაშვილი, ვისაც ეს საფრთხეები ესმის. დანარჩენს არავის არაფერი არ ესმის. იმიტომ კი არა, რომ ცუდები არიან, არ იციან, უწიგნურები არიან. ბევრმა დაბადების დღეს მოიწყო, რბილი რბილზე დადო და ბედნიერია. უხარია, რომ მისი ცოლ-შვილი ტელევიზორში საღამოს დაინახავს. რაღაც სისულელეებს ილაპარაკებს. რამდენი პოლიტიკოსი იცით, დღეში შვიდჯერ რომ ნახულობთ ტელევიზორში, მაგრამ არაფერი გამახსოვრდებათ მისი ნალაპარაკევიდან? თვითონაც არ იციან, რას ლაპარაკობენ. ამ შემთხვევაში უკვე „ეროვნული ფორუმის“, როგორც პოლიტიკური პარტიის მნიშვნელობა იზრდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენ კრიზისების პარტიაა. ბედნიერების პარტია „ფორუმი“ არ არის. არ ახსენდებათ ასეთ დროს „ფორუმი“. როცა კრიზისი დაიწყო, ჩვენი მეგობრები, რომლებიც ხანდახან შესაძლოა, გამარჯობას აღარ გვეუბნებოდნენ, ახლა გვეუბნებიან — ე, ბიჭო, გვითხარით, როგორ მოვიქცეთ, რა ვქნათო. „ფორუმის“ ბედი თუ უბედობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ქართული პოლიტიკური სპექტრის სასწრაფო დახმარება ვართ. კარგად არიან, არ ვახსოვართ, ცუდად არიან, ეგრევე რეკავენ. ახლა ეს პროცესი იწყება. უკრაინის კრიზისს ჩვენ ვერ გადავარჩენთ, მაგრამ ჩვენი ამოცანაა, მაქსიმალურად დავიცვათ ჩვენი ქვეყანა და ხალხი, ეს შესაძლებელია. ამიტომ ბევრი მიზეზების გამო, როცა ვლაპარაკობდით, ხომ არ ღირს კოალიციიდან გასვლა, ეს საკითხი ჩემთვის მოხსნილია — ქვეყანას გარედან რაღაც ემუქრებოდეს და მე შიგნიდან ავაფეთქო, იქვე არის ორჯონიკიძეობა, თან სამიდღემსიოდ. ვერავინ გაგრეცხავს, ამიტომ ისევ რაღაცებზე კომპრომისზე წასვლა მოგვიწევს. ვთქვათ, თუ გვინდა, რომ საკრებულოში ათი კაცი შევიდეს, შეიძლება შევიდეს სამი „ფორუმელი“. ეს არის ჩვენი მსხვერპლი, რახან უნდა დავრჩეთ და ვფიქრობ, რომ უნდა დავრჩეთ... თუმცა ყრილობამდე თქვენც უნდა იფიქროთ, რას ვაპირებთ, როგორ ვიქცევით... ამ საკითხებზე საუბარი ტელევიზორში არ შეიძლება, რადგან სულ ცოტა, პროვოკატორი გამოხვალ. არ შეიძლება, გამოხვიდე, რომ ცუდი კადრები ინიშნებიან იმიტომ, რომ იგივეს ნაციონალები ამბობენ. ჩვენი ტექსტი ნაციონალებისას არ უნდა დაემთხვეს.

რაც შეეხება ჩვენ ტერიტორიებს, ახლა ვართ პროცესში, რომ რაც გვაქვს, ის შევინარჩუნოთ. თუ შევინარჩუნებთ, შემდეგ შესაძლებელია, პერსპექტივებიც გაჩნდეს. ძალიან სერიოზული ურთიერთობები მაქვს ჩრდილო კავკასიელებთან, ასევე სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, თურქებთან. ეს ჩვენი სასიცოცხლო არეალია. ამ მიმართულებით იმაზე უკეთაა საქმე, ვიდრე შეიძლება წარმოვიდგინოთ. სერიოზული იმპულსებია მათგან. ამაზე მეტს ვერ გეტყვით, მაგრამ ინტენსიურად ვმუშაობ. ეს ისეთი საკითხებია, რომელზეც კაბინეტშიც ვერ ვისაუბრებ, შეიძლება, ტყეში შევხვდე ადამიანს და იქ ვესაუბრო. არ არის საჭირო ვილაცა სხვამ გაიგოს. ასე რომ, წამოწოლა და დროსტარება „ფორუმის“ მხრიდან გამორიცხეთ. მხოლოდ ჩვენ არ ვართ ანგელოზები. თვითონ პარლამენტის შემადგენლობა ძალიან სუსტია, მაგრამ იქ 20-25 კაცია, რომელსაც ეს პრობლემატიკა ესმის და ამაზე ვმუშაობთ, ოლონდ ამაზე არ ვსაუბრობთ.

რაც შეეხება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს, არ მგონია, ეს სწორი იყოს, რადგან ეს რყევებს გამოიწვევს. გეთანხმებით, თვითონ უმრავლესობაში 30 კაცია, რომელიც არ უნდა იჯდეს იქ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც დღესაც არ იციან, რომელი კომიტეტის წევრები არიან, მაგრამ რიგგარეშე არჩევნები რომ ჩატარდეს, შეიძლება, უარესი პარლამენტი მივიღოთ. ის 30 კაცი რომ ზის და ხმას არ იღებს, პრობლემას არ ქმნის, რადგან როცა ეტყვი, ასე ქენიო, იჯერებს და აკეთებს, მაგრამ ამათ ნაცვლად, შეიძლება, ისეთი 30 ნაძირალა შემოგივარდეს, რომელიც არაფერს გააკეთებს, მაგრამ ყველაფერს დაგიბლოკავს. ამიტომ არ სჭირდება ამ ქვეყანას რყევები, ამიტომ ვართ გაჩერებულები. ამიტომ ვართ გაჩერებულები, ჩვენი წილიც უნდა მივიღოთ. აქამდე როგორც იყო, ასე აღარ იქნება. ჩვენ უარი ვთქვით ალაფის განაწილებაზე... „ფორუმი“ კი არ „მოგვტეხეს“, ვერავინ მოგვტეხავდა, მაგრამ ეს იყო, კლასიკური გაგებით, ალაფის განაწილება, რაშიც მონაწილეობა არ მივიღეთ. ადგილობრივი არჩევნები კი, სულ სხვა თემაა. აქ ხალხი ირჩევა და ჩვენი წილს აუცილებლად მივიღებთ, მისხალს არ დავუთმობთ არავის. სხვა ვითარებაა. საპარლამენტო ვიცოდით, რომ ბოროტება უნდა დაგვემარცხებინა, საპრეზიდენტო ცოტა გაუგებარი იყო, რადგან თვითონ ინსტიტუტია დავიწროებული, ამიტომ მოტივაციაც მაღალი არ გვქონია, მაგრამ ადგილობრივ არჩევნებში, ბოდიში მომითხოვია, ადგილობრივში კბილებით უნდა ვიომოთ და ჩვენი ინტერესები დავიცვათ — ჩვენი წევრები გავიყვანოთ დეპუტატებად, თუ დეპუტატებად ვერ გავიყვანთ, აღმასრულებელში გავუშვათ და ა.შ. პარტია უკვე პარტიული ქსელის შექმნაზე უნდა გადავიდეს. მით უმეტეს, გამგეობებში „ნაცები“ აღარ ეყრებიან.

რაც შეეხება ყრილობას, რატომ ვატარებთ ყრილობას მცირე შემადგენლობით და არა გრანდიოზულს. ჩვენ 12 ათასი წევრი გვყავს, ინვენტარიზაცია ჩავატარეთ, რამდენი წევრი შეგვრჩა ამ არახელსაყრელი ორი წლის განმავლობაში. არახელსაყრელში ვგულისხმობ იმას, რომ ხელმძღვანელობა არ ვჩანდით, არ ვაქტიურობდით და გარკვეულწილად, ზოგს მივავიწყდით, ზოგს შეიძლება მოვენატრეთ კიდეც. ისე, სჯობია მოენატრო, ვიდრე თავი მოაძულო. ინვენტარიზაციის შედეგად გავარკვიეთ, რომ 12 ათასი აქტიური წევრი გვყავს, ამდენი არავის ჰყავს. არ დაიჯეროთ... ამ ნაძალადევის კონფერენციაზე რომ შევიკრიბეთ, მმართველ პარტიას რომ ეძახიან, არის მათში ისეთები, რომლებიც ასეთი შემადგენლობით მთლიანად ყრილობას ვერ ატარებენ. ზოგი პარტია ერთ მანქანაში ეტევა, ზოგიც — ერთ მიკროავტობუსში. მათთან შეჯიბრი ჩვენი ამოცანა არ არის, ჩვენ სხვა პასუხისმგებლობა გვაქვს. ქვეყნის სამსახური სხვა საქმეა, დროსტარება და ტელევიზორში გამოჩენა ჩვენი ამბავი არ არის. თუ ყველა გასულელდება ამ ქვეყანაში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენც გავსულელდეთ. შეიძლება, დადგეს დრო, როცა ყველამ გააფრინოს, ასეთ შემთხვევაში, უნდა დარჩეს პასუხისმგებლიანი გუნდი და პარტია, რომლის უკან ხალხის მასა უნდა იდგეს. შეიძლება, ისე წავიდეს საქმე, რომ რუსთან სალაპარაკო გახდეს. ადრე თუ გვიან, იმ რუსებთან ხომ უნდა ვილაპარაკოთ? ვინ დაელაპარაკება, ხალხო? ან ამერიკელებს, ომი რომ დაიწყოს და ვითარება გამწვავდეს, ვინ უნდა ეკონტაქტოს? თუ რუსი შემოვიდა, ბათუმში თურქი შემოვა, ეჭვი ხომ არ გეპარებათ?..

ერთ რამესაც გეტყვით... ბევრ „ფორუმელს“ წყდება გული, რომ „ფორუმის“ რეიტინგი დაეცა. ჩვენ, „ფორუმის“ ხელმძღვანელობა შეგნებულად წავედით რეიტინგის დაცემაზე, რადგან ახლა რეიტინგი არ გვჭირდება. არჩევნები მოდის, მაგრამ კოალიციაში ვართ. არ გვჭირდება დიდი რეიტინგი. გარწმუნებთ, როცა დაგვჭირდება რეიტინგი, სხვა პარტიებისგან განსხვავებით, სამი-ოთხი გამოსვლა დაგვჭირდება მე, კახასა და რეზოს და ნებისმიერ რეიტინგებს „დავგლიჯავთ“ და „დავხეთქავთ“. სხვა პარტიები ფულს ყრიან, ჩვენ ამის პრობლემა არ გვაქვს, რეიტინგი როცა მოგვინდება, გაიზრდება. ოლონდ ახლა ჩვენი ძალის დემონსტრირების დრო არ არის. ამიტომ ყრილობაც მასშტაბური არ გვჭირდება, სამუშაო რეჟიმში, დაახლოებით, 500-კაციანი შეკრება გვინდა.

და დავით ნარმანიაზეც გეტყვით, თბილისის მოსახლეობა მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ არის ამ კანდიდატურით.... ჩვენ აგრესიულ ლიდერებს შევეჩვიეთ, მაგრამ ასეთმა ლიდერებმა დიდი სიკეთე ქვეყანას ვერ მოუტანეს. ნარმანიას პირადად ვიცნობ ძალიან ახლოს, არც იმას დაგიმალავთ, დრო იყო, ის „ფორუმში“ შემოსვლას აპირებდა. შინაგანი განწყობით ის „ფორუმელია“, ჩვენი ჭკუის კაცია... ის ნიჭიერი კაცია, პატრონი არ ყოლია, მიღო არაჩვეულებრივი განათლება გერმანიაში და არა — ამერიკაში, სამთვიან კურსებს რომ გადიოდნენ. ჩვენ რომ ყველანაირ უცხოურ დიპლომებზე ვგიჟდებით... გერმანული განათლება აქვს მიღებული, ძალიან მაგარი ადმინისტრატორი და ხელმძღვანელია. მინისტრთა კაბინეტში რეალურად ორი ეფექტურ მინისტრია — ნარმანია და სეერგეენკო. დანარჩენი, ზოგი საშუალო დონისაა, ზოგი კი, საერთოდ დედამიწას არ ატყვია. რაც შეეხება თბილისის მერობას, მომწონს, რომ ის პოლიტიკურად ანგაჟირებული კაცი არ არის, პრობლემებს არ შეუქმნის ქვეყანას... ასევე უპატიოსნესი კაცია, უმაღლესი დონის პროფესიონალია და ასევე, გაგიკვირდებათ, მაგრამ — მეგრელია. სამეგრელოში ძალიან ცუდი პროცესები მიდის, რუსებიც მუშაობენ, თურქებიც და სხვებიც, რათა განკერძოება და ქართველი ერის დეზინტეგრაცია მოხდეს. ამიტომ სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რომ საქართველოს დედაქალაქს მერად წარმოშობით მეგრელი ეყოლება. ყველაფერი საფიქრალია... თუ თბილისს უნდა, რომ მოწესრიგდეს, რაც ქართველებს არ გვაქვს, ნარმანია გაამართლეს. კი ბატონო, ქართული ტრადიციები უნდა დავიცვათ, მაგრამ ბევრი რამ, რაც კარგი გვგონია, სინამდვილეში არაფრად ვარგა და სასწრაფოდ უნდა მოვიშოროთ. 7 საათი სუფრასთან ჯდომა, 900 კაციანი ქორწილები, წითელი დიპლომის ყიდვა. წესრიგი თბილისში იქნება და ეს ბიჭი გერმანული წესრიგის დამყარებას დაუწყებს. მადლობა ასეთი გამოცდისთვის, ბოლო სამი წელი თქვენთან კონტაქტი არ გვქონია, ამ თემატიკაზე არ გვილაპარაკია, მე ხომ ვიცი, გაძალებდნენ სხვა პარტიებში გადასულიყავით. ეს უკვე რწმენაა საკუთარი თავისა და ქვეყნის მომავლისა. ჩავატაროთ ყრილობა და ყველაფერი კარგად იქნება.

რუსუდან შელია
557-100-768

# თემურ ალასანიაზე კომპრომატები ხელისუფლებას ჰილარი კლინტონმა მიაწოდა?

## რატომ გამოვიდა ჩრდილიდან და რა აკავშირებს სააკაშვილის ბიძას იანუკოვიჩთან



**საქართველოში იარაღის უკანონო ვაჭრობის შესახებ ეჭვი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაჩნდა, როცა ნათელი გახდა, რომ თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე გაფუჭებული და მწყობრიდან გამოსული ტექნიკა ირიცხებოდა. მაშინ ისიც ითქვა, რომ საქართველოს მთავრობა უკრაინაში ძვირადღირებულ ტექნიკას ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული Bell Trading & Consulting-ის შუამავლობით ყიდულობდა, შემდეგ კი ირანსა და სირიაში ყიდდა. ახლა ირკვევა, რომ აგვისტოს ომის შემდეგ, დამოუკიდებელი გამოძიება, Blue Lantern-ის საშუალებით, ამერიკელებმაც აწარმოეს და მაშინდელი ხელისუფლების მისამართით კითხვისნიშნებიც გაუჩნდათ. 2009 წლის 30 ივლისს აშშ-ს იმდროინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა საქართველოში აშშ-ს საელჩოს თანამშრომელს წერილი გამოუგზავნა, სადაც პირდაპირაა ნათქვამი, რომ Bell Trading & Consulting და მისი სუფსიდიარები არალეგალური იარაღით ვაჭრობაში არიან შემჩნეულნი. ამასთან, კლინტონის წერილში მინიშნებულია, ზემოხსენებულ კომპანიას კავშირი ორგანიზებულ დანაშაულთანაც აქვს... იარაღის უკანონო ვაჭრობის სქემაში მთავარ ფიგურანტად მიხეილ სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანია სახელდება, რომელმაც ახლახან კულისებიდან სცენაზე გადმოინაცვლა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ, მისი მისამართით გაჟღერებული ბრალდებებისთვის, თბილისისა და ნიუ იორკის სასამართლოებში სარჩელის შეტანას აპირებს. შეგახსენებეთ: ირაკლი ღარიბაშვილმა თემურ ალასანიას რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელი უწოდა. „ვერსიასთან" უფლებადამცველი ირაკლი კაკაბაძე თემურ ალასანიას რუსულ კავშირებზე საუბრობს და უკანონო იარაღის შეძენის წლების განმავლობაში აპრობირებულ სქემასაც შიფრავს.**

— თემურ ალასანია უკანონო იარაღის ვაჭრობას პირადად ხელმძღვანელობდა. მისი და მისი პარტნიორის, გუდისის მიერ დაფუძნებული Bell Trading & Consulting-ის ჯგუფი საქართველოს სახელით უკრაინაში იარაღს ყიდულობდა, რომელიც საქართველოში არ შემოდიოდა. სხვათა შორის, რუსეთის დაზვერვის მაღალი დონის წარმომადგენელი ერიკ გუდისი, რომელიც ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს, წარმოშობით თბილისელია და მამამისი მთელ ამიერკავკასიაში სამხედრო ვაჭრობის უფროსი გახლდათ.

**— იარაღით უკანონო ვაჭრობის საქმეში დავით კეზერაშვილის სახელმაც გაიჟღერა...**

— კეზერაშვილს ამ საქმეში მიმტან-მომტანის ფუნქცია ექნებოდა, რადგან აქ ბევრად მაღალი რანგის მაფიაზეა საუბარი, ვიდრე კეზერაშვილის პიროვნებაა. უბრალოდ, როცა კეზერაშვილი თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობდა, საქართველომ Bell Trading & Consulting-თან კონტრაქტს ხელი მოაწერა, რომელზეც ჰილარი კლინტონი წერს, ეს დანაშაულებრივი და კრიმინალებთან შეკრული დაჯგუფებააო. კლინტონი ასევე ღიად მიანიშნებს ტარიელ ონიანზე, რომელიც თემურ ალასანიას ახლო მეგობარია.

**— გაშიფრეთ სქემა, ვინ, როგორ და სად ყიდდა საქართველოს მთავრობის დახმარებით უკანონო იარაღს?**

— იმის გამო, რომ სააკაშვილის მთავრობა ამერიკელებთან არ თანამშრომლობდა, აშშ-მ დამოუკიდებელი გამოძიების წარმოება დაიწყო. საუბარია იმაზე, რომ საქართველოში შემოსული იარაღი სხვადასხვა ქვეყანაში გადიოდა. ამერიკელებს ეჭვი აქვთ, აღნიშნული იარაღი სირიასა და ირანში გადიოდა. არსებობს გარკვეული ნივთმტკიცებებიც, რომ თემურ ალასანიას ჯგუფმა იარაღი იმ ქვეყნებში გაიტანა, რომლებსაც ემბარგო ედო. მათ შორის, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებშიც, რომლებთანაც მიხეილ სააკაშვილს ინტენსიური ურთიერთობები ჰქონდა. დადგინდა ისიც, რომ Bell Trading & Consulting ჯგუფმა კონტრაქტი თავდაპირველად იანუკოვიჩთან, ჯერ კიდევ 2006 წელს, მისი პრემიერ-მინისტრობის პერიოდში გააფორმა. თემურ ალასანიას საქართველოში რუსული იარაღი სწორედ იანუკოვიჩის ხალხის დახმარებით შემოჰქონდა.

**— თუ თემურ ალასანია იანუკოვიჩის პარტნიორი იყო, რატომ აღმოჩნდა დისშვილ მიხეილ სააკაშვილთან ერთად ევრომაიდანზე?**

— თემურ ალასანია, უბრალოდ, როლში შეიჭრა. თბილისშიც ასე არ ხდებოდა?! ვითომ ეროვნულ მოძრაობაში კაგებეს უამრავი თანამშრომელი ირიცხებოდა. ზოგადად, მათ ასეთი მუშაობის სტილი აქვთ — მოძრაობაში ყოველთვის შემოდიან. რეალურად, თემურ ალასანიამ თავის დისშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, რუსეთისთვის სასარგებლო საქმეც გააკეთა — სააკაშვილის ვითომგინება-გინებაში, რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი უპრობლემოდ მიითვისა. საქართველომ დატოვა კოდორი და სამაჩაბლო, ამ საქმეს კი, სააკაშვილის გარდა, რუსეთისთვის ვერავინ გააკეთებდა, პრორუს გენერალ იგორ გიორგაძით დაწყებული სხვა მარიონეტებით დამთავრებული. თემურ ალასანია სააკაშვილსაც საკმაოდ ეფექტურად მართავდა. სააკაშვილს კი ბიძამისის ძალიან ეშინია, რადგან მის წინააღმდეგ ყველაზე მეტი კომპრომატი სწორედ თემურ ალასანიას აქვს. მათი ურთიერთობა პირადად მინახავს, ერთხელ სატელეფონო საუბარსაც დავესწარი.

**— თუ ვსაუბრობთ, რომ მიხეილ სააკაშვილი ბიძამისის გავლენით საქართველოში რუსულ პოლიტიკას ატარებდა, მაშინ აშშ ექსპრეზიდენტს წლების განმავლობაში მხარს რატომ უჭერდა?**

— აშშ-ს საქართველოში თავის ინტერესები აქვს... ადმინისტრაციას შევარდნაძის მთავრობასთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, დღესაც იგივე გრძელდება — მათ ინტერესებში არ შედის, საქართველო, როგორც მოკავშირე გადაიმტეროს. ერთხელ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში მითხრეს, მიშას რომ დავუპირისპირდეთ, მაშინვე რუსეთთან გაიქცევაო, ამიტომ 9 წლის განმავლობაში, აშშ მიშას დაწყნარების პოლიტიკას ატარებდა.

**— აშშ მზად იყო, უკანონო იარაღით ვაჭრობაზე თვალი დაეხუჭა?**

— სააკაშვილი უკანონო იარაღით ამერიკელების გარეშეც ივაჭრებდა. პრეზიდენტი ობამა სამი წლის განმავლობაში სააკაშვილს სწორედ ამიტომ არ ხვდებოდა, მეოთხე წელს კი შეხვდა და უთხრა, უნდა გადადგეო. ბუშის ადმინისტრაცია სხვა იყო — მას ერაყის ომში, საქართველოს სახით, ტერიტორია სჭირდებოდა, რომელსაც სხვადასხვა მიზნისთვის გამოიყენებდა. სააკაშვილის აყვავება ბუშის ადმინისტრაციის სერიოზული შეცდომა აღმოჩნდა, რადგან მისი მილიტარისტული პოლიტიკა რუსეთის ინტერესებისთვის სასარგებლო იყო. ჰილარი კლინტონის წერილიც ადასტურებს, რომ აშშ უკანონო იარაღით ვაჭრობაზე თვალს ბოლომდე არ ხუჭავდა. საქართველოში აშშ-ს ელჩმა სააკაშვილის მთავრობას მწვავე კითხვებიც დაუსვა, მაგრამ მაშინდელი ხელისუფლება შეშინდა, რადგან საქმე პრეზიდენტის ბიძას ეხებოდა. ახლა დაძაბულობამ პიკს მიაღწია, მასალებმა, სადაც თემურ ალასანიას უკანონო იარაღით ვაჭრობასა და Bell Trading & Consulting ჯგუფთან კავშირებზეა საუბარი, აშშ-ს ადმინისტრაციიდან გამოჟონა. თემურ ალასანია „ეფესბეს" მოქმედი გენერალ-პოლკოვნიკი და პუტინსა და ლავროვთან დაახლოებული პირია.

**— იგივე შინაარსის განცხადებისთვის თემურ ალასანია ირაკლი ღარიბაშვილს უჩივის, არადა წლების განმავლობაში, სააკაშვილის ბიძა მსგავს ბრალდებებს დუმილით პასუხობდა. რატომ გადაწყვიტა თემურ ალასანიამ ამ ფორმით გააქტიურება?**

— მას სხვა გზა აღარ დარჩა, რადგან როგორც „კაგებეს" გენერალი, გაიშიფრა. ახლა თემურ ალასანიასთვის ბრძოლის ბოლო ეტაპია და რეპუტაციის გაწმენდას ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოუვა — ეს ადამიანი 1970-იანი წლებიდან რუსული დაზვერვის გენერალია. მას შემდეგ, რაც „ბოსი" გაიშიფრა, მიხეილ სააკაშვილიც და სრულიად ნაციონალური მოძრაობაც ისტერიკაშია. თემურ ალასანიას წინააღმდეგ გაჟღერებულ ბრალდებებს კონკრეტული მტკიცებულებებიც დაემატა, რომელსაც ხელს ჰილარი კლინტონი აწერს.

**— ზურაბ ჟვანიას საქმეში თემურ ალასანიას წინააღმდეგ ჩვენება მიეცით. გახსენით კარტი — რა კავშირი აქვს სააკაშვილის ბიძას პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებასთან?**

— კონკრეტულად, ჩვენებაზე ვერ ვისაუბრებ, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგაწვდით: თემურ ალასანიასა და ერიკ გუდისს რუსული წარმოშობის უკანონო იარაღის გასატანად თბილისის აეროპორტის ხელში ჩაგდება უნდოდათ. ამ მიზნით, 2004 წლის 18 ან 19 დეკემბერს, ზურაბ ჟვანიასთან ერიკ გუდისი მივიდა და სერიოზული „ატკატიც" შესთავაზა. მაშინ „თბილავიამშენში" ვმუშაობდი, რომელიც მათი კორპორაციის ერთ-ერთ პარტნიორად მოიაზრებოდა. ზურაბ ჟვანია შეთავაზებულ ქრთამს არ დათანხმდა, რის შემდეგაც, სააკაშვილთან მივიდა. მიშამ მოჩვენებითი ისტერიკა მოაწყო და გუდისი საქართველოდან გააგდო.

**— ამის შესახებ ვინ გიამბოთ?**

— გუდისმა თავად დამირეკა და მითხრა, ჟვანია თებერვლის ბოლოსთვის პრემიერ-მინისტრი აღარ იქნება, რადგან აეროპორტის გეგმები ჩაგვიშალა, მასთან ერთად ღორი ბენდუქიძეც დაკარგავს ადგილსო, თან ამ საკითხზე ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებამდეც ვესაუბრე. მათ სურდათ, აეროპორტი ხელში უტენდეროდ ჩაეგდოთ, რაც საბოლოოდ, მოახერხეს კიდეც, რადგან „ტავ ჯორჯია" სინამდვილეში მათ მიერ შექმნილი ორგანიზაციაა. ამასობაში, ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა და პრემიერ-მინისტრად მათთვის სასურველი პიროვნება დაინიშნა.

**— გაქვთ მოლოდინი, რომ ამ მძიმე ბრალდებების ფონზე თემურ ალასანიას წინააღმდეგ გამოძიება დაიწყება და სახელმწიფო მისი დანაშაულის დამტკიცებას შეძლებს?**

— არ ვიცი, მაგრამ იმედი მაქვს, ქართული სახელმწიფო იმდენად გაბედული აღმოჩნდება, რომ ამ მაფიას დაუპირისპირდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას მომავალი არ აქვს.

---

ვერსიანიუსი

# საქართველოში გლობალური ფულის კვირეული აღინიშნება



საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით, წელს პირველად ქვეყანაში გლობალური ფულის კვირეული აღინიშნება. ეროვნული ბანკის მონაცემებით, ფულის კვირეული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ყოველწლიურად, მარტის პირველ ნახევარში იმართება. მისი მთავარი მიზანი ფულის დაზოგვის, ეკონომიკური სისტემის ცვლილებისა და ფინანსური მომავლის შესახებ დისკუსიაში ახალგაზრდა თაობის ჩართულობის ხელშეწყობა და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებაში მათი დახმარებაა. ფულის კვირეულის ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკმა სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის საგანმანათლებლო ტური მოაწყო — ახალგაზრდები ყვარელში ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმს ეწვივნენ და ქართული ფულის შესახებ ინფორმაცია მიიღეს. მათ ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმიც დაათვალიერეს. როგორც ეროვნული ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი მელაშვილმა განაცხადა, გლობალური ფულის კვირეული გასულ წელს 80 ქვეყნის 400-ზე მეტმა ორგანიზაციამ აღნიშნა. სხვადასხვა სახის ღონისძიებაში მონაწილეობა მილიონზე მეტმა ბავშვმა და ახალგაზრდამ მიიღო.

**„წელს ამ ღონისძიებას ეროვნული ბანკიც შეუერთდა და ფულის კვირეულის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახების პატარებისთვის საგანმანათლებლო ტური ფულის მუზეუმში მოაწყო. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი რეგულარულად მასპინძლობს სტუმრებს და მათ ქართული ფულის ისტორიას აცნობს. განსაკუთრებით ვცდილობთ, მოვიზიდოთ და დავაინტერესოთ ახალგაზრდა თაობა, რათა ისინი ქართული ფულის ისტორიისა და, ზოგადად, ფულის შესახებ მეტ ინფორმაციას ფლობდნენ. ჩვენი მუზეუმი კი ამ მხრივ ერთადერთი და უნიკალურია საქართველოში. ვიმედოვნებთ, მომავალში ღონისძიების აღნიშვნაში ეროვნულ ბანკს სხვა ფინანსური და საგანმანათლებლო ორგანიზაციებიც შეუერთდებიან",** — განაცხადა გიორგი მელაშვილმა.

მისივე თქმით, ეროვნულ ბანკში მიაჩნიათ, რომ გლობალური ფულის კვირეულის ყოველწლიურად აღნიშვნა საშუალებას მისცემს მას, ფულისა და დაზოგვის კულტურის, ასევე პირადი ფინანსების მართვის მნიშვნელოვნების შესახებ ინფორმაცია უფრო მეტ ბავშვსა და ახალგაზრდას მიაწოდოს. ეს კი ფინანსური განათლების დონის ამაღლებისა და ფინანსური ჩართულობის ერთ-ერთი წინაპირობაა.

*„მედიანიუსი"*

# რა ელის „ხრუშჩოვკებში“ მცხოვრებ 5 000 ადამიანს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**თბილისის მასშტაბით, „ხრუშჩოვკის“ ტიპის ბინების დემონტაჟი და მათ ნაცვლად ახალი კორპუსების მშენებლობა დაიწყება. შესაბამის მემორანდუმზე საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილმა და არაბეთის გაერთიანებული საამიროების ერთ-ერთი საინვესტიციო ჰოლდინგის დამფუძნებელმა სალემ ჰუმეიდ ალ შამსიმ ხელი უკვე მოაწერეს. აღნიშნული სამუშაოებისთვის არაბი ინვესტორი 600 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს. ირაკლი შიხიაშვილი აცხადებს, რომ მემორანდუმით, პასუხისმგებლობას ორივე მხარე იღებს, რათა პროექტი ფინანსთა სამინისტრომ და ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაამტკიცოს. მას შემდეგ, რაც ფინანსთა სამინისტრო და ცენტრალური ხელისუფლება ამ ინიციატივას მხარს დაუჭერს, ახალი კორპუსების სამშენებლო სამუშაოები დაიწყება.**

რატომ ვერ დაანგრიეს კომუნისტებმა, რომელი მოქმედი ჩინოვნიკი იხეირებს „ხრუშჩოვკების“ დემონტაჟით და რატომ ასაიდუმლოებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი არაბ ინვესტორთან გაფორმებული მემორანდუმის დეტალებს



თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ მისი ინიციატივის მიზანი ძველი თბილისის რეაბილიტაცია და ე.წ. ხრუშჩოვკების ადგილას კომფორტული საცხოვრებელი სახლების აშენებაა. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, აქცენტი ადგილობრივ კომპანიებსა და მოსახლეობის დასაქმებაზე გაკეთდება, სამუშაოები კი, სავარაუდოდ, ზაფხულში დაიწყება. თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ნიკო ხაჩირაშვილი ამბობს, რომ „ხრუშჩოვკების“ ახალი კორპუსებით ჩანაცვლების კონცეფციაზე მუშაობა დაახლოებით ერთ თვეში დასრულდება, კონცეფციის ჩამოყალიბებაში კი ექსპერტები, ურბანისტები და არქიტექტორები ჩაერთვებიან.

ირაკლი შიხიაშვილს მიაჩნია, რომ არაბი ინვესტორის მიერ დაფინანსებული 600 000 000-დოლარიანი პროექტის განსახორციელებლად საჭირო ვადა ხუთი წელია. მისი თქმით, მართალია, ჯერ მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, მაგრამ პროექტები, რომლებითაც „ხრუშჩოვკები“ ახალი, მაღალსართულიანი კორპუსებით უნდა შეიცვალოს, ძველ თბილისში კი ავარიული სახლების პრობლემა გადაწყდეს, უკვე შემუშავებულია და ფინანსურადაც გაწერილია.

**„შევისწავლეთ ამ პროექტის სირთულე, ვნახეთ ინვესტორი, ვინც ამ საქმეში მონაწილეობის ინტერესი გამოთქვა, პროექტებს კი ჩვენ ვქმნით და ჩვენვე ვთავაზობთ. რაც მთავარია, ამ გზით ადგილობრივ მეწარმეებსა და კომპანიებს დავასაქმებთ. ცხადია, მათ, რომლებსაც კონკურსის წესით შეარჩევენ და მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ“,** — აღნიშნავს ირაკლი შიხიაშვილი და დასძენს, რომ არაბი ინვესტორი ერაყში, მაროკოსა და არაბეთის გაერთიანებული საამიროების ქალაქებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს — გზების, გვირაბების, აეროპორტებისა და კორპუსების მშენებლობას ახორციელებს. შიხიაშვილის თქმითვე, ინვესტორი მზადაა, სახსრები თბილისში ორი მიმართულების პროექტის დასაფინანსებლადაც დახარჯოს.

სამწუხაროდ, საკრებულოს თავმჯდომარესა და არაბ ინვესტორს შორის გაფორმებული მემორანდუმის ტექსტის შინაარსი უცნობია. შესაბამისად, არავინ იცის, სად გადაიყვანენ მოსახლეობას იქამდე, ვიდრე „ხრუშჩოვკების“ დემონტაჟს დაიწყებენ და ახალ კორპუსებს ააშენებენ. უცნობია პროექტის დეტალებიც, რადგან ის ჯერ ფინანსთა სამინისტრომ და ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა განიხილოს და საბოლოო გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ უნდა მიიღონ.

სხვათა შორის, როგორც ქართული საინფორმაციო სააგენტო „ექსპრესნიუსი“ იუწყება, არაბულ საერთაშორისო სავაჭრო-საინვესტიციო ჰოლდინგზე, რომელმაც თბილისში „ხრუშჩოვკების“ დემონტაჟი უნდა განახორციელოს, ინტერნეტში ცნობები არც ინგლისურ ენაზე მოიპოვება და არც არაბულზე; ასევე უცნობია, რას საქმიანობს სალემ ჰუმეიდ ალ შამსი, რადგან არაბული მედიაგამოცემები მასზე, როგორც ინვესტორსა და ბიზნესმენზე არაფერს წერენ.

საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელმა, **გიორგი სეთურიძემ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ არაბი ინვესტორის, სალემ ჰუმეიდ ალ შამსის შესახებ არაფერი სმენია, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. მისი თქმით, უკვე ცნობილია ჰოლდინგის სახელწოდება, ინვესტორის სახელი და მას საზოგადოებაც აუცილებლად გაიგებს, მაგრამ ხელისუფლებას ამ მხრივ დაფიქრება მაინც მართებს:

**„ჩვენ უკვე გავიარეთ ის ეტაპი, როდესაც არაკეთილსინდისიერმა და ხშირად თაღლითმა ინვესტორებმა, რომლებიც არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან იყვნენ, საქართველოში მხოლოდ პროექტები კი არ ჩაშალეს, არამედ შეიხიც მოატყუეს. ასეთი თაღლითებისგან დაზღვეული არავინაა და ამიტომ ხელისუფლებას, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდეს, ვურჩევ, კარგად დაფიქრდეს, ინფორმაცია სრულად მოიპოვოს და პროექტს ხელი ამის შემდეგ მოაწეროს. არ ვიცი, ვინაა სალემ ჰუმეიდ ალ შამსი, მის შესახებ არაფერი მსმენია, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. მთავარია, კეთილსინდისიერი ინვესტორი აღმოჩნდეს და არა თაღლითი, რომლებიც არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში უხვადაა. ასეთი თაღლითების ხელში აღმოჩნდა თავის დროზე მთაწმინდის პარკი, ტელეკომპანია „იმედი“, რომლებსაც საკმაოდ ცნობილი არაბული კომპანიები მართავდნენ. ამ კომპანიებს კორუმპირებული ჩინოვნიკები და აფერისტი ინვესტორები იყვნენ ამოფარებულები, ამიტომ არ მინდა, ახალმა ხელისუფლებამაც წინამორბედის მსგავსი შეცდომები დაუშვას“.**

რაც შეეხება პროექტის ღირებულებას, 600 000 000 აშშ დოლარს, გიორგი სეთურიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ თუ არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში მოქმედ რომელიმე ინვესტორს ამ რაოდენობის თანხა აქვს, თავისუფლად შეუძლია, ფული გაცილებით მომგებიან ბიზნესში დააბანდოს და არა თბილისში, „ხრუშჩოვკების“ პროექტში. წინა ხელისუფლების გამოცდილების გათვალისწინებით, გამორიცხული არაა, არაბი ინვესტორი, სალემ ჰუმეიდ ალ შამსი რომელიმე ჩინოვნიკის ინტერესს ემსახურებოდეს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ნებისმიერი ინვესტიციისა და პროექტის უკან ასეთი ინტერესი თავს ყოველთვის იჩენს, ამიტომ გიორგი სეთურიძეს ამ თემით აპელირება არასერიოზულად მიაჩნია. მისივე თქმით, „ხრუშჩოვკების“ პროექტი, მართლაც, მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი განხორციელება უამრავ სირთულეს უკავშირდება. შესაბამისად, შეუძლებელია, ხელისუფლებამ ეს პროექტი ერთბაშად, ხანგრძლივი მსჯელობისა და ზუსტად გაწერილი სამოქმედო გეგმის გარეშე, თუნდაც კეთილი ზრახვების გამო წამოიწყოს:

**„მოსკოვში, 20-25 წლის წინ, ლუჟკოვის მერობის დროს, „ხრუშჩოვკების“ დემონტაჟი განხორციელდა, რომელიც ყველაზე სწორი გადაწყვეტილება და წმინდა წყლის კომერციული პროექტი იყო — სახელმწიფომ მშენებელ კომპანიას ახალი კორპუსისთვის გარკვეული ფართობის მიწა გამოუყო. მაგალითად, თუ 1 ჰექტარზე 4 „ხრუშჩოვკა“ იდგა, სადაც დაახლოებით, 120 ოჯახი ცხოვრობდა, სამშენებლო კომპანია იგივე ფართზე 200-ოჯახიან ახალ, თანამედროვე ტიპის საცხოვრებელ კორპუსს აშენებდა, სადაც ეს 120 ოჯახი გადაჰყავდათ, დარჩენილ ფართს კი ან კომერციული მიზნით იყენებდნენ, ან სხვა ოჯახებზე ყიდდნენ. ამიტომაც ვამბობ, რომ ეს ძალიან რთული თემაა, რადგან არ ვიცით, სად ან რა პირობებში უნდა გადავიყვანოთ ეს ხალხი. ამბობენ, რომ თბილისში 800-მდე „ხრუშჩოვკაა“, სადაც 5 000-მდე ოჯახი ცხოვრობს, მაგრამ შეძლებს კი ინვესტორი ამ 5 000 ოჯახის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას? დავუშვათ, ოჯახი სამოთახიან ბინაში ცხოვრობს, „ხრუშჩოვკის“ სამოთხიანი 60 კვადრატული მეტრია, მაგრამ ახალი დიზაინით აშენებულ თანამედროვე კორპუსში 60 კვადრატული ოროთახიანი ბინის ფართია. როგორ გგონიათ, „ხრუშჩოვკის“ სამოთახიანში მცხოვრები ოჯახი დაგთანხმდებათ, ახალი კორპუსის ოროთახიანში გადავიდეს? აი, სწორედ ასეთი დეტალები უნდა გაითვალისწინოს არა მარტო საკრებულოს თავმჯდომარემ, არამედ, ხელისუფლებამაც და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს პროექტის განხორციელება, თორემ არავინ უარყოფს, რომ „ხრუშჩოვკები“ დასანგრევია და ეს პრობლემა მოსაგვარებელია“.**

გიორგი სეთურიძის ინფორმაციით, „ხრუშჩოვკების“ დემონტაჟის იდეა კომუნისტებსაც ჰქონდათ. მაგალითად, 80-იან წლებში, ნუცუბიძის პლატოზე კორპუსების მშენებლობა სწორედ იმ მიზნით დაიწყეს, რომ ვაჟა-ფშაველას გამზირზე, „ხრუშჩოვკებში“ მცხოვრები მოსახლეობა გადაეყვანათ. სეთურიძე იხსენებს, რომ ნუცუბიძის პლატოს ქვემოთ, კომერციული ფართები და ავტომობილების პარკინგი უნდა განთავსებულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ მოსახლეობასთან მოლაპარაკება ვერ შეძლო, ეს პროექტი ჩაიშალა. გიორგი სეთურიძის თქმით. მაშინაც კი გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც საკუთარი ფართის ნაცვლად, ცოტა უფრო მეტი მოითხოვეს, ზოგს ბინაში რამდენიმე ოჯახი ჰყავდა ჩაწერილი და სურდა, ახალ კორპუსში ფართი ამის მიხედვით მიეღო. მოკლედ, მოლაპარაკება ჩაიშალა, რის გამოც „ვაჟაზე“ „ხრუშჩოვკების“ ნგრევა გადაიფიქრეს, ნუცუბიძის პლატოზე კი სხვა კატეგორიის მოსახლეობა დაასახლეს:

**„საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილს, რომელსაც მოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნვა ევალება, შეიძლება, მართლაც კეთილი მიზანი ამოძრავებს, მაგრამ ამ დეტალების გათვალისწინების გარეშე, პროექტის წამოწყებას არ ვურჩევ. მაშინ, როდესაც „ხრუშჩოვკების“ დემონტაჟში საბჭოთა ხელისუფლება იყო ჩართული, მოქალაქეებთან მოლაპარაკება მაინც ვერ მოახერხეს და დარწმუნებული ვარ, ახლაც იგივე პრობლემის წინაშე დადგებიან. გამოსავალი მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებაა, რომლის გარეშეც ეს პრობლემა არ გადაწყდება. აუცილებელია, შეიქმნას კანონი, სადაც გაიწერება, რომ ეს სახლები ავარიულია და იქ ცხოვრება ადამიანების სიცოცხლისთვის სახიფათოა, შესაბამისად, ეს ხალხი ახალ კორპუსებში უნდა გადავიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კომუნალური მომსახურება შეუწყდებათ. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყონ მოლაპარაკება, რომ მოსახლეობამ მისი კუთვნილი ფართი მიიღოს ახალ კორპუსში და არ დაზარალდეს“.**

გიორგი სეთურიძე ამბობს, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა არაფერი იცის იმის შესახებ, არსებობს თუ არა თბილისის განაშენიანების გეგმა. ესაა მიზეზი, რის გამოც ბოლო 20 წლის განმავლობაში, თბილისის ყველა მოქმედმა მერმა დედაქალაქის იერსახე ისე დაამახინჯა, როგორც სურდა.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესა და არაბ ინვესტორს შორის გაფორმებული მემორანდუმის შესახებ, „ვერსია“ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილსაც დაუკავშირდა, რომელმაც ამ ეტაპზე განმარტებებისგან თავი შეიკავა. არადა, საინტერესოა, რა წერია მემორანდუმში, ან რაზე შეთანხმდნენ მხარეები. საინტერესოა, როგორ ან რა პრინციპით აპირებს ირაკლი შიხიაშვილი „ხრუშჩოვკების“ პრობლემის გადაჭრას ან გაითვალისწინებს თუ არა გიორგი სეთურიძის რჩევებს, რომელსაც ამ სფეროში დიდი გამოცდილება აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში, არა მარტო საკრებულოს თავმჯდომარეს, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებსაც მოუწევთ, საზოგადოებას უფრო დეტალური და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდონ, რათა „ხრუშჩოვკებში“ მცხოვრებმა 5 000-მდე ოჯახმაც იმ მენაშენეების ბედი არ გაიზიაროს, რომლებსაც თანამედროვე დიზაინის კორპუსების ნაცვლად, სამშენებლო კომპანიებისთვის გადახდილი სოლიდური თანხის სანაცვლოდ, ხელში მხოლოდ ჰაერი შერჩათ.

## ვერსიანიუსი

### მარინე მიზანდარი საყდრისის საბადოზე მიღებულ გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებს



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ საყდრისის საბადოსთან დაკავშირებით მიღებული ბოლო გადაწყვეტილების აქტი სასამართლოში უახლოეს დღეებში გასაჩივრდება, — ამის შესახებ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა მარინე მიზანდარმა განაცხადა. მისი ინფორმაციით, სარჩელი არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ამ საკითხით დაინტერესებულ პირებთან ერთად მომზადდება.

**„სამინისტროში პასუხი უნდა აგოს ყველა იმ პირმა, რომლებმაც ბოლო აქტი შეიმუშავეს და კომპანია RMG Gold-ს იქ სამუშაოების გაგრძელების უფლება მისცეს“,** – განაცხადა მარინე მიზანდარმა.

მისივე ინფორმაციით, სამინისტროს ბოლო აქტი საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით ჯერ გასაჯაროებული არ არის. მიზანდარმა ყურადღება იმ ეკოლოგიურ პრობლემებზეც გაამახვილა, რომლებსაც აღნიშნული კომპანიის საქმიანობა გარემოს უქმნის. მისი თქმით, არსებობს გარემოსდაცვითი დასკვნები, რომლის თანახმადაც, მარნეულის სახნავ-სათესი მიწები საბადოს კარიერის მოპოვების შედეგად დაბინძურებული წყლებით ირწყვება.

*„მედიანიუსი“*

# არასამთავრობოები ხელისუფლებას სატელევიზიო რეიტინგების კონტროლში ადანაშაულებენ




მაია მიშელაძე
593-51-90-12

**თებერვლის ბოლოს, შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის საგადასახადო მონიტორინგის სამმართველომ, ინვენტარიზაციის მიზნით, კომპანია „TV MR საქართველო“ შეამოწმა. ეს კომპანია საქართველოში „ნილსენის“ სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვების ლიცენზირებული წარმომადგენელია და ერთადერთია, რომელიც ქვეყანაში სატელევიზიო რეიტინგებს ზომავს. სატელევიზიო რეიტინგი ტელეკომპანიებისთვის რეკლამის მოზიდვის უმთავრესი საშუალებაა. კომპანიის კლიენტი საქართველოში მოქმედი 11 ტელევიზია და 18 სარეკლამო სააგენტოა. ინვენტარიზაციის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა ე.წ. ფიფლმეტრების აღრიცხვაც მოითხოვეს, რაც საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა ოჯახშია გადანაწილებული და რომელთა საშუალებითაც სატელევიზიო რეიტინგი იზომება. „ფიფლმეტრების“ აღრიცხვის მიზნით, სამინისტროს წარმომადგენლებმა, კომპანია „TV MR საქართველოს“ იმ ოჯახების მისამართები მოსთხოვეს, სადაც ეს მოწყობილობებია განლაგებული და რაც კონფიდენციალური ინფორმაციაა.**

საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოსა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა, კომპანიას „ფიფლმეტრების“ მქონე ოჯახების მისამართები წარედგინა, მაღალი რისკის შემცველია. საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს წარმომადგენლების თქმით, თუ ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის, ხელისუფლებას ზუსტად ეცოდინება, სადაა განლაგებული „ფიფლმეტრები“, კვლევაში მონაწილე ოჯახების საშუალებით, კვლევის შედეგებით მანიპულირების საშიშროება გაჩნდება. აუდიტორიის კვლევის გარეშე კი სატელევიზიო რეიტინგის ობიექტურად გაზომვა, სარეკლამო სააგენტოებისა და, უშუალოდ, რეკლამის განმთავსებლებისთვის სანდო რეიტინგის მიწოდება შეუძლებელია. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ყველაფერი ეს სატელევიზიო ბიზნესის ფინანსურ კოლაფსსაც გამოიწვევს.

**„მნიშვნელოვანია, რომ „TV MR საქართველომ“, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნით, შემოსავლების სამსახურს ალტერნატივად შესთავაზა, „ფიფლმეტრები“ ოჯახებიდან ოფისში გადმოეტანათ და იქ შეემოწმებინათ, მაგრამ კომპანიამ ამ შეთავაზებაზე უარი იმ მიზეზით მიიღო, რომ შემოსავლების სამსახურს კანონი ავალდებულებს, დაადასტუროს, სადაა ძირითადი საშუალებები განთავსებული. „TV MR საქართველოს“ განცხადებით, ის არ ეწინააღმდეგება ინვენტარიზაციას, მაგრამ მეთოდოლოგიაზე შეთანხმება მნიშვნელოვანია, რათა კვლევაში ჩართული ოჯახების, კომპანიის, კლიენტი ორგანიზაციების, სარეკლამო ბაზრისა და ტელევიზიების ინტერესები არ დაზარალდეს“.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს მკვლევარების განცხადებით, 2013 წელს, IREX-ის პროგრამა G-Media-ს ფარგლებში, „TV MR საქართველოს“ მიერ გამოყენებული სატელევიზიო რეიტინგების გაზომვის სისტემის აუდიტი განხორციელდა, რომლის შედეგადაც ხარვეზები არ გამოვლენილა. შარშან ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა, რომ მეთოდოლოგია, რომელსაც კომპანია იყენებს, სრულ შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვების საერთაშორისო ნორმატივებთან. „საერთაშორისო გამჭვირვალობისა“ და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შესახებ ერთობლივი განცხადებაც გაავრცელეს:

**„მიგვაჩნია, რომ შემოსავლების სამსახურმა არ უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯები, რაც ზიანს მიაყენებს საქართველოში თავისუფალი და კონკურენტუნარიანი სარეკლამო ბაზრის განვითარებას, რომელიც პოლიტიკური ზეგავლენისგან თავისუფალი მედიაგარემოს არსებობას უზრუნველყოფს. ჩვენ მოვუწოდებთ ფინანსთა სამინისტროს, დათანხმდეს კომპანიის ალტერნატიულ შეთავაზებას, „ფიფლმეტრების“ ოფისის ბაზაზე შემოწმების შესახებ. ასევე, აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა მოახდინოს რეაგირება ამ საკითხზე, რადგან საქმე ეხება მოქალაქეების პერსონალურ მონაცემებს (კვლევაში ჩართული პირების მისამართები). მოვუწოდებთ ინსპექტორს, რომელიც საქართველოში მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლს ახორციელებს, შეასრულოს მისთვის კანონით განსაზღვრული ამოცანები და კონსულტაცია გაუწიოს, როგორც შემოსავლების სამსახურს, ასევე კერძო კომპანიას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოქალაქეების პერსონალურ მონაცემთა დაცულობა“.**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მზადაა, ეს საკითხი, კომპეტენციის ფარგლებში, დეტალურად შეისწავლოს და კონსულტაცია გაუწიოს, როგორც შემოსავლების სამსახურს, ასევე კომპანია „TV MR საქართველოს“. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში „ვერსიას“ განუცხადეს, რომ კომპანია „TV MR საქართველოში“ ჩვეულებრივი შემოწმება ჩატარდა. რაც შეეხება „ფიფლმეტრების“ ადგილზე შემოწმებას, შემოსავლების სამსახურში აცხადებენ, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის ბრძანების საფუძველზე, უწყება ვალდებულია, კომპანიის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები ადგილზე შეამოწმოს.

## მშენებლობის სექტორი 26%-ით გაიზარდა

2013 წლის მეოთხე კვარტალში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, წინა კვარტალთან შედარებით, 12%-ით გაიზარდა და 6 მილიარდ 261 მილიონ ლარს მიაღწია. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, „საქსტატის“ ინფორმაციით, აქედან 16%-ით, 3.7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა ადგილობრივი კომპანიების გამოშვებული პროდუქცია, 3%-ით, 2.1 მილიარდ ლარამდე კი უცხოური ფიზიკური თუ იურიდიული პირების. რაც შეეხება სახელმწიფო კომპანიებს, მათი პროდუქტიულობა 25%-ით გაიზარდა და 440.7 მილიონი ლარი შეადგინა. გამოშვებულ პროდუქციაში 33% მრეწველობას უკავია, რომლის მოცულობამ 10.5%-ით მოიმატა და 2.1 მილიარდ ლარს მიაღწია. 18%-ით, 1.2 მილიარდ ლარამდე გაიზარდა ვაჭრობასა და რემონტის სექტორში გამოშვებული პროდუქცია.

მესამე ადგილზე მშენებლობა დაწინაურდა, რომლის წარმოებამაც 26%-ით, 954 000 000 ლარამდე მოიმატა, მეოთხე ადგილზეა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, უცვლელი მოცულობით, 880 000 000 ლარამდე. თითქმის 10%-ით გაიზარდა ოპერაციები უძრავ ქონებაზე და 440 000 000 ლარს მიაღწია. 12.6%-იანი კლება დაფიქსირდა სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში — 175 000 000 ლარი. ყველაზე მცირე წვლილი გამოშვებულ პროდუქციაში უკავია განათლებას — 57 000 000 ლარი და სოფლის მეურნეობის დარგს, თევზჭერას — 65 000 000 ლარი.

***BPI***



## ქართული ღვინის ექსპორტი გაიზარდა

2014 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით, ქართული ღვინის ექსპორტის მოცულობა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, ღვინის მწარმოებელი 50-მდე კომპანიის მიერ, საქართველოდან მსოფლიოს 18 ქვეყანაში ექსპორტირებულია 9 990 397 ბოთლი ღვინო.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველ ხუთეულში შედიან რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ლატვია. ექსპორტის მთლიან მოცულობაში, 68%-ით ლიდერობს რუსეთი, სადაც იანვარ-თებერვალში 6 865 545 ბოთლია ექსპორტირებული.

„ღვინის ექსპორტის მაჩვენებელი მიუთითებს, რომ საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის მიმართ ინტერესი, სულ უფრო მეტად იზრდება. ექსპორტის ზრდის დადებითი დინამიკის პარალელურად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია როგორც ახალი ბაზრების მოძიება, ასევე არსებულ ბაზრებზე ექსპორტის მაჩვენებლის ზრდა. ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ღვინის მწარმოებელ კომპანიებთან ერთად“, — აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან დავითაშვილმა.

***BPI***

ვერსიანიუსი

## 2013 წელს უმსხვილესი ინვესტორი ნიდერლანდები იყო



2013 წელს, საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ნიდერლანდები იყო, ყველაზე მეტი ინვესტიცია, როგორც მოსალოდნელი იყო, ენერგეტიკის სექტორში ჩაიდო. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, „საქსტატის“ ინფორმაციით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილმა, მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, წინასწარი მონაცემების მიხედვით, 90% შეადგინა. ყველაზე მსხვილი ინვესტორი ქვეყანა ნიდერლანდებია, საიდანაც 180 000 000 აშშ დოლარის, ანუ მთლიანი ინვესტიციების 20% ჩაიდო. 2012 წელთან შედარებით, ინვესტიციები ნიდერლანდებიდან 5.1-ჯერ გაიზარდა. 145 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციებით, მეორე ადგილზეა ლუქსემბურგი, საიდანაც ზრდა 24.5%-ია, მესამე ადგილზეა ჩინეთი, საიდანაც ინვესტიციები 2.5-ჯერ გაიზარდა და 98 000 000 აშშ დოლარი შეადგინა.

ათეულში შედის აზერბაიჯანი — 95 000 000 აშშ დოლარით, თურქეთი 95 000 000 აშშ დოლარით, აშშ 57 000 000 აშშ დოლარით, საერთაშორისო ორგანიზაციები 53 000 000 აშშ დოლარით, გაერთიანებული სამეფო 47 000 000 აშშ დოლარით, მალტა 42 000 000 აშშ დოლარითა და არაბეთის გაერთიანებული საამიროები 33 000 000 აშშ დოლარით.

რაც შეეხება უმსხვილესი სექტორებს, მისი წილი 82%-ია. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და 198 000 000 აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 22%-ია. მეორე ადგილზეა საფინანსო სექტორი 170 000 000 აშშ დოლარით, ხოლო მესამეზეა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 138 000 000 აშშ დოლარით. ათეულშია გადამამუშავებელი მრეწველობა 124 000 000 აშშ დოლარით, მშენებლობა 54 000 000 აშშ დოლარით, სამთომოპოვებითი მრეწველობა 35 000 000 აშშ დოლარით, სოფლის მეურნეობა 32 000 000 აშშ დოლარით, უძრავი ქონება 27 000 000 აშშ დოლარით, ჯანდაცვა და სოციალური დახმარება 2 000 000 აშშ დოლარით.

2012 წელთან შედარებით, ინვესტიციები შემცირდა გადამამუშავებელ მრეწველობაში 44 000 000 აშშ დოლარით, უძრავ ქონებაში 26 000 000 აშშ დოლარითა და ჯანდაცვის სექტორში 16 000 000 აშშ დოლარით.

***BPI***



## სამართალდამცავებმა მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული სერგო ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 14 მარტს, საღამოს, თაყაიშვილის ქუჩაზე, 180-ე სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ეჭვიანობის ნიადაგზე ურთიერთშელაპარაკებისას, დანით გულ-მკერდის არეში მრავლობითი ჭრილობა მიაყენა 1989 წელს დაბადებულ ანა ოვანესიანს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

*„ვერსიანიუსი“*



## შსს-მ უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკები გაანადგურა

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა დროს ჩატარებული ღონისძიებების შედეგად უკანონო ბრუნვიდან ამოღებული, სხვადასხვა სახეობის ნარკოტიკული საშუალებები: მარიხუანა, კანაფი, ჰეროინი, დეზომორფინი, სუბუტექსი, მეთადონი და ექსტაზი გაანადგურა.

სამართალდამცველები ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს სასამართლოს შესაბამისი განაჩენის შემდეგ, 3 თვეში ერთხელ ანადგურებენ.

ნარკოტიკების განადგურების პროცესს, შსს-ს თანამშრომლებთან ერთად, მთავარი პროკურატურის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

*„ვერსიანიუსი“*

## აჭარელმა ძალოვნებმა ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს

შსს-ს აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს ქობულეთის რაიონული სამმართველოს ხუცუბნის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1958 წელს დაბადებული ნოდარ ხ. იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ქობულეთის რაიონის სოფელ ჭახათში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „ა-კა-ეს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 2 მჭიდითა და 75 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

# სადაზღვევო ომბუდსმენის ინსტიტუტი – ნეპოტიზმისა და ნათესაურ-კლანური მმართველობის ახალი კერა?

მერაბ ბერიძე
599-45-50-26



**დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი ლაშა ნიკოლაძე აცხადებს, რომ საქართველოში სადაზღვევო ომბუდსმენის ინსტიტუტი ამოქმედდება და ინსტიტუციონალური წარმონაქმნის სტრუქტურისა თუ ფუნქციების ჩამოსაყალიბებლად ევროპულ გამოცდილებას გაიზიარებენ. ამ მიზნით საზედამხედველო სამსახური დონორ ორგანიზაციებსა და გერმანულ კომპანიასთან უკვე მუშაობს.**

როგორც საზედამხედველო სამსახურში მიიჩნევენ, ომბუდსმენის არსებობა ხელსაყრელი იქნება, როგორც სადაზღვევო კომპანიების, ასევე მომხმარებლისთვის, რათა დამზღვევთან უთანხმოების შემთხვევაში, საჩივარი კომპეტენტურად ჩამოაყალიბოს:

**„ომბუდსმენის მეშვეობით, სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობა იზრდება, იმავდროულად, ისინი თავიდან აიცილებენ აბეზარ კლიენტებს, როდესაც სადაზღვევო კომპანია ზარალის ანაზღაურებაზე დაზღვეულს უარს ეუბნება. პროფესიონალური, სპეციალიზებული ორგანოს დასკვნა გაცილებით ობიექტურად აღიქმება“**, — აცხადებს ლაშა ნიკოლაძე.

ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი იმასაც აღნიშნავს, რომ დავის შემთხვევაში, ომბუდსმენს მხოლოდ შუამავლის ფუნქცია ექნება, კლიენტის საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილებას კი სასამართლო მიიღებს.

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრი **მარინა ბერაძე** განმარტავს, რომ ამ ინსტიტუტის მსგავსი ფუნქცია აქვს ჯანდაცვის სამინისტროში რამდენიმე წლის წინ შექმნილ მედიაციის სამსახურს, ასევე არსებობს ომბუდსმენის ინსტიტუტი და ეს ფუნქციები იდენტურია:

**„პრაქტიკულად, ახალი არაფერი იქმნება, კიდევ ერთი დამატებითი რგოლია და სახელმწიფოსთვის ხარჯთეფექტური არ არის. ძალიან საინტერესოა, ამ სამსახურს ვინ დააფინანსებს, მედიაციის სამსახური ბიუჯეტიდან ფინანსდება. უამრავი ადამიანი მუშაობს, ხელფასს იღებს, თვიდან თვემდე უკმაყოფილო პაციენტების რაოდენობა მატულობს და ისინი ამ სამსახურს მიმართავენ. ეს ნიშნავს, რომ თვითონ სადაზღვევო სისტემა კარგად არაა აწყობილი, მრავალი საკითხია გასარკვევი სახელმწიფოს, სადაზღვევო კომპანიას, ბენეფიციარსა და ექიმს შორის... დღეს ყველა მხარე უკმაყოფილებას გამოთქვამს და ამ დროს, ერთიმეორის მიყოლებით, ვითომ მარეგულირებელ სამსახურებს ვქმნით, სისტემურ მიდგომას კი არ ვცვლით, რათა ასეთი საჩივრების განხილვის ალბათობა ნაკლები იყოს. უნდა ვეცადოთ, სადაზღვევო კომპანიამ ისე იმუშაოს, მომჩივანიცა და გასარჩევი საქმეც რაც შეიძლება ნაკლები იყოს.**

**პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ სფეროში ახალი კომპანიის, სამსახურის შემოსვლის ერთადერთი მიზანი გრანტი ან ფინანსურ-სამსახურეობრივი ინტერესია. ვიღაცას ახალი სამუშაო ადგილი ექმნება, მაგრამ გარწმუნებთ, ბევრს არა, ამიტომ საინტერესოა, ახლა ეს დანახარჯი ვის დააწვება კისერზე, ვინ გადაიხდის ამ მომსახურების საფასურს. მოსახლეობას ასეთი სამსახური არ სჭირდება, უნდა, ის მიიღოს, რაც სახელმწიფოსგან აქვს დადგენილი და სადაზღვევო კომპანიისგან ეკუთვნის, ამისთვის კი სულ სხვა რეგულაციებია საჭირო“.**

როგორ უნდა შეიცვალოს სისტემა, მდგომარეობა რომ გაუმჯობესდეს? მარინა ბერაძე ამბობს, რომ ვიდრე მოსახლეობის უმეტესობა დაუსაქმებელია, ჩვენს ქვეყანაში სადაზღვევო სამსახური აქტუალური ვერ იქნება. მისივე თქმით, ბიზნესსაქმიანობის არსი სრულიად სხვაა და სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხებით მუშაობენ, არ წარმოადგენენ რეალურ დაზღვევას:

**„ჩვენთან სადაზღვევო კომპანია შუალედურ რგოლს ასრულებს დამფინანსებელ წყაროსა და ბენეფიციარს შორის, რაც ხარჯს ზრდის. რეალურად, სადაზღვევო კომპანია ორიენტირებულია მოგებაზე და, მაგალითად, კორპორატიულ დაზღვევებზე მუშაობს. კორპორატიულად დაზღვეულთა რაოდენობა კი მინიმალურია და მათთვის სამსახურის დუბლირება და კიდევ ორმაგი-სამმაგი მარეგულირებელი სტრუქტურის გახსნა ღირს? ქვეყანაში სხვა საქმე არ არის? სადაზღვევო ინდუსტრია რომ განვითარდეს, კონკურენტული გარემო უნდა შეიქმნას და არა ასეთი ტიპის სამსახურები.**

**კერძო მაგალითი მოვიყვანოთ: „არქიმედე“ რომ გავიდა პროექტიდან, ჰქონდა ვალდებულება, 0-დან ხუთ წლამდე და 60 წელსზემოთ ბენეფიციარებისთვის სამედიცინო სერვისი მიეწოდებინა, ასევე ჰქონდა ვალდებულება სამკურნალო დაწესებულებებისთვის ფული გადაერიცხა, რაც ვერ შეასრულა, თავი ვერ გაართვა და პროექტიდან ისე გავიდა, ათეული მილიონი ლარის დავალიანება დატოვა. საინტერესოა, ასეთ შემთხვევაში, მსგავსი სამსახური რას გააკეთებს, როგორ გაართმევს თავს? სახელმწიფო ვერაფერს აკეთებს და ის რას იზამს? ამიტომ საკითხის დარეგულირება ასეთი ტიპის სამსახურით შეუძლებელია, გინდ ომბუდსმენი დაარქვი, გინდ მთავარი მოსამართლე.**

შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ სადაზღვევო სფეროში ბევრი ხარვეზია. ამ დროს, მხოლოდ მარეგულირებელი სამსახურის დუბლირება გარკვეულ ეჭვს აღძრავს და მალე გამოჩნდება, ახალი სტრუქტურა ეფექტური იქნება თუ ნეპოტიზმის, ნათესაურ-კლანური სულისკვეთების კიდევ ერთი გამოვლინება.

ვერსიანიუსი

## აშშ რუსეთში გამგზავრების მსურველებს აფრთხილებს



ამერიკის შეერთებული შტატები, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, საკუთარ მოქალაქეებს, რომლებიც რუსეთში გამგზავრებას აპირებენ, სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ რუსეთში ამ ეტაპზე პირდაპირი საფრთხე არ არის, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, ყირიმის მოვლენების გამო ქვეყანაში გაძლიერდეს ქუჩის დემონსტრაციები და ანტიამერიკული აქციები.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი თავის მოქალაქეებს მოუწოდებს, თავი აარიდონ დემონსტრაციებს, ხალხის მასასა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, სადაც არ არის დაცული უსაფრთხოების ნორმები.

როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული გაფრთხილება ძალაში მიმდინარე წლის 13 ივნისამდე რჩება.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ჯონ მაკკეინის თქმით, ეკონომიკური სანქციები რუსეთზე სერიოზულად იმოქმედებს



თუ რუსი სამხედროები უკრაინის აღმოსავლეთ საზღვარს გადაკვეთენ, ეკონომიკური სანქციები რუსეთზე სერიოზულ გავლენას მოახდენს. ამის შესახებ ამერიკელი სენატორების დელეგაციის ხელმძღვანელმა, სენატორმა ჯონ მაკკეინმა უკრაინაში ვიზიტის დროს განაცხადა.

**„ვფიქრობთ, ეკონომიკური სანქციები რუსეთზე საკმაოდ სერიოზულად იმოქმედებს ისევე, როგორც ეს ირანში მოხდა. ყველა ვთანხმდებით, რომ ასეთი სანქციების შემდეგ ირანელები მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდნენ. ეკონომიკური სანქციები კომპანიების, ხელისუფლებისა და კონკრეტული პირების მიმართ ძალიან მნიშვნელოვანია და მას ექნება გავლენა“.**

ამასთან, ამერიკელი სენატორის თქმით, რუსეთის არღვევს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას. მისივე თქმით, უკრაინის ხელისუფლება კონსტიტუციური და კანონიერია. ამერიკელმა სენატორმა ჯონ გუვენმა კი აღნიშნა, რომ აშშ-ს შეუძლია, მიაწოდოს უკრაინას თხევადი გაზი და ამ მხრივ მოახდინოს ზეწოლა რუსეთზე.

*„ინტერპრესნიუსი“*

1. გემის ფანჯარა
2. ესპანური ფართო-ფარფლიანი ქუდი
3. ბრტყელი თევზი
4. (ძვ.) სურნელოვანი ნელსაცხებელი
5. ქალაქების ზრდა-განვითარების პროცესი
6. ჭაობის მცენარე
7. ფაშისტთა ერთ-ერთი საკონცენტ. ბანაკი
8. ორგანოვანი ტექსტი
9. უძველესი ციხე ერევანთან
10. ზევსის უსაყვარლესი ასული
11. ლუდის მწარმოებელი კომპანია
12. სასიამოვნო სურნელი
13. ქალაქი ისრაელში
14. ხავერდის მსგავსი ქსოვილი ზოლებით
15. რისამე საჯარო ჩვენება გარკვ. დროს
16. ჰოლანდიის მეორე სახელწოდ.
17. ვესტერნების გმირი
18. იგივეა, რაც მაგნიტი
19. ტილოს მსგავსი ქსოვილი
20. მთა წალკის რაიონში
21. სახლის წინ შემოღობილი ადგილი
22. ნაწილობრივი სიბნელე დაღამებისას
23. მემკვიდრ. ფაქტორი
24. პოლონ. კინორეჟის.
25. სპორტ. ორთაბრძოლის სახეობა
26. შოკოლადის ხე
27. მხარეთა მაჩვ. ხელსაწ.
28. სახოტბო შეძახილი ქრისტიანულ ღვთისმსახ.
29. უხეში მიტკალი
30. მომღერალი ... რამაზოტი
31. დედამიწის ანტიპოდი
32. (ძვ.) ქალი, დედაკაცი
33. ფეხბურთის სახელწოდება იტალიაში
34. ყურძნის კრეფა
35. „... ჭკუისაგან“
36. ვიოლინოს დასაკვრელი ჯოხი
37. ინგლისში მოღვაწე ქართველი მომღერალი
38. ედმუნდ ჰილარის მეწყვილე ევერესტზე
39. წარმატების „მომტანი“ ნივთი
40. იგივეა, რაც აჩრდილი
41. წილი საერთო საქმეში
42. ადამის მეუღლე
43. მზის ღმერ. ინკების მითოლოგ.
44. მსახიობი ... თურმანი
45. ქალაქი გვიანაში
46. ზრდილობიანი დასტურის გამომხატველი ნაწილაკი
47. ფქვილის გაცრის ნარჩენი
48. მიკროსქემა
49. კომბლეს ძროხა მულტფილმში
50. მსახიობი ... კიდმანი
51. ჩინელ კომუნისტთა ბელადი
52. ფრინველთა მეფე
53. კამეჩის ნაშიერი
54. შეძახ. ცეკვისას
55. მირეი ...
56. შოუ „..., სად, როდის?“
57. სოფელი ქედის რაიონში
58. პატარა მრგვალი უძვლო ცხოველი
59. ორელექტროდიანი ელექტრონმილაკი
60. ქვეყანა აფრიკაში
61. მეგრული ხალხური სიმღერა
62. მიმართვა ფრანგი მეფისადმი



# პლანეტის უმდიდრესი ქალები

ჟურნალ „ფორბსის“ ვერსიით, მსოფლიოში უმდიდრესი ქალი კრისტი უოლტონია და მისი ქონების ძირითადი ნაწილი Wal-Mart-ის ქსელზე მოდის, რომელიც მამამთილმა, სემ უოლტონმა დააფუძნა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კრისტი უკვე მეოთხედ გახდა სიის ლიდერი 36,7 მილიარდი დოლარის ქონებით. რეიტინგში მეორე საფეხურზე ჩამოქვეითდა კომპანია L'Oreal-ის მემკვიდრე, ლილიან ბეტანკური, მისი ქონება 34,5 მილიარდადაა შეფასებული. მიუხედავად იმისა, რომ ბეტანკურის შემოსავალი შარშან 9%-ით გაიზარდა, მაინც დაკარგა პლანეტის ყველაზე მდიდარი ქალბატონის წოდება. მესამე ადგილზე, 34.3-მილიარდიანი ქონებით, Wal-Mart-ის დამფუძნებლის ქალიშვილი — ელის უოლტონია, მეოთხეზე Mars-ის ოჯახის მესამე თაობის წარმომადგენელი და უდიდესი საკონდიტრო კომპანიის ტოპ-მენეჯერი ჟაკლინ მარსი, რომლის ქონება 20 მლრდ დოლარადაა შეფასებული. ავსტრალიური კომპანია Hancock Prospecting-ის ხელმძღვანელი ჯონინა რაინჰარტი სიაში მეხუთე პოზიციას იკავებს, რომლის ქონებაც „ფორბსმა“ 17,7 მილიარდ დოლარად შეაფასა; მეექვსე სიუზან კლატენია, რომელიც დედასა და ძმასთან ერთად, ავტოკონცერნ BMW-ს 50%-იან წილს ფლობს. მილიარდერი ქალების 2014 წლის მსოფლიო რეიტინგში სუსტი სქესის 172 წარმომადგენელი შევიდა, შარშან კი მათი რაოდენობა 138-ს შეადგენდა. ამის მიუხედავად, „ფორბსის“ გლობალურ რეიტინგში ქალები მხოლოდ 10%-ს წარმოადგენენ.




















# ახალი მოწყობილობა გამოსაძინებლად

პოლონელმა გამომგონებლებმა ახალი მოწყობილობა შექმნეს, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს, 2-3 საათში სრულფასოვნად გამოიძინოს. ეს უნიკალური ქმნილება, რომელსაც NeuroOn უწოდეს, ერთგვარი კონსტრუქციაა, რომელიც მომხმარებლის „ძილის რუკას“ ქმნის და ამგვარად საშუალებას აძლევს, ორიოდე საათში გამოიძინოს. მოწყობილობა ერთგვარი ნიღაბია და გადამცემებითაა აღჭურვილი, რომლებიც ორგანიზმის ბიოლოგიურ სიგნალებს ზომავს, მათ შორის ტვინის მოქმედებას, კუნთების დაძაბულობას, თვალების მოძრაობას... „ნიღბის“ საშუალებით მიღებული მონაცემები სმარტფონს გადაეცემა, რომელსაც სპეციალური პროგრამა ამუშავებს და ადამიანის „ძილის რუკას“ ქმნის. პროგრამის კარნახით, მომხმარებელი გათვლის დროს, როდის უნდა დაწვეს დასაძინებლად და რამდენ ხანს დაისვენოს. ამ უნიკალური მოწყობილობის წარმოებაში ჩასაშვებად, ავტორებმა დახმარება ინტერნეტ-მომხმარებლებს სთხოვეს და დაახლოებით, 430 ათასი დოლარის მოგროვება შეძლეს. ცნობილია, რომ NeuroOn-ის პირველი პარტია გასაყიდად მაისში გამოვა და 225 დოლარი ეღირება. თუმცა, მედიკოსები გვაფრთხილებენ, რომ „ძილის რუკის“ გამოყენება იშვიათად სჯობს, რადგან მოზრდილ ადამიანს ყოველდღიურად რვასაათიანი დასვენება სჭირდება.

# ყველაზე კომფორტული ასაკი მამაკაცებისთვის



სპეციალისტების განცხადებით, ძლიერი სქესის წარმომადგენლები მხოლოდ 54 წლის ასაკში გრძნობენ თავს ზრდასრულად და საკუთარ მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად აფასებენ, დაგვიანებული კომფორტის შეგრძნება კი ძლიერი ფინანსური ზეწოლისა და გვიანი მამობის შედეგია. სწორედ 54 წლის შემდეგ იწყება ნამდვილი ცხოვრება, რომელიც სიამოვნების მიღების საშუალებას იძლევა. ბევრი მამაკაცი ვერ იჯერებს, რომ სოციალურ სტაბილურობას მიაღწია, ვიდრე საპენსიო ასაკს მიუახლოვდება. სტატისტიკის თანახმად, ბავშვების ორი მესამედი 30 წელს გადაცილებულ კაცებს უჩნდებათ, ამასთან შედარებით ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფს თავდაჯერება აკლია, რომელიც ფიზიკური ნაკლით, ფინანსური პრობლემებითა და სიმარტოვითაა გამოწვეული. სპეციალისტთა გამოკვლევამ, რომელშიც 1000-ზე მეტი მოხალისე მონაწილეობდა, აჩვენა, რომ მამაკაცისთვის ყველაზე დიდი პრობლემა სახლის შეძენის შესაძლებლობის არქონაა; მათ ასევე აშინებთ გამელოტება და სამსახურის დაკარგვა. სიბერე არამიმზიდველ ჭაღარასა და სიმსუქნესთან ასოცირდება. კაცებისთვის პრობლემაა მარტოობა, პენსიაზე გასვლის შესაძლებლობის არქონა და ცუდი ჯანმრთელობა.


Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com


# რეკორდსმენი ცხვირით ტექსტის აკრეფაში



ინდოელმა მამაკაცმა, მოჰამედჰუსეინმა რეკორდი დაამყარა კომპიუტერის კლავიატურაზე ტექსტის აკრეფაში... ამაში გასაოცარი არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი ფაქტი — ინდოელი ამას ცხვირით აკეთებს. 23 წლის მოჰამედმა 103 სიმბოლო მხოლოდ 74 წამში აკრიფა ისე, რომ ხელები არ გამოუყენებია, ახლა კი ეს რეკორდი ოფიციალურად უნდა დაარეგისტრიროს გინესის რეკორდების წიგნმა. აღსანიშნავია, რომ წინა რეკორდი ცხვირით ტექსტის ბეჭდვაში 1 წუთი და 33 წამი იყო, ასე რომ, ინდოელმა მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და ამისთვის ყოველდღიურად ექვს საათს ვარჯიშობდა.

# სოფელში ძილის ეპიდემიაა



ყაზახეთის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრნი ძილის ეპიდემიის მსხვერპლი გახდნენ. ენცეფალოპათიის დაავადების პიკი აქ ჯერ კიდევ შარშან იყო და მას შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას გამუდმებით ძინავს. აკმოლინის ოლქში უკვე 30-ზე მეტი მოზრდილი ადამიანი და ბავშვია ამ დაავადებით დაინფიცირებული. ენცეფალოპათია იწვევს მოულოდნელი ძილის შეტევებს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე დღეს გრძელდება. თანაც, ამ დაავადების მქონენი ვერც კი იხსენებენ, როგორ ეწყებათ შეტევა. ადგილობრივები დაავადების გავრცელებას ახლომდებარე მაღაროებს უკავშირებენ, სადაც ბირთვული საწვავის მოპოვება ხდება. ამასთან დაკავშირებით ყაზახეთში რუსი რადიოლოგები ჩავიდნენ იმის გასარკვევად, ახდენს თუ არა გავლენას რადიაქტიური გამოსხივება ენცელოპათიით დაავადებაზე. მედიკოსები კი, თავის მხრივ, აცხადებენ, რომ ძილიანობა გავრცელებული ინფექციითაა გამოწვეული.

# ინფექციები ინტელექტს აქვეითებს



ამერიკელმა მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ადამიანის ინტელექტზე გავლენის ფაქტორებს შორის მთავარ ადგილს ინფექციური დაავადებები იკავებს. გამოკვლევის დროს ექსპერტები აშშ-ს ათი შტატის მცხოვრებთა ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მათი ინტელექტის დონეს ადარებდნენ. შედეგებმა აჩვენა, რომ სადაც ინტელექტის დონე დაბალია, იქაურები ხშირად არიან ავად ინფექციური დაავადებებით. კიდევ ერთი გამოკვლევის მიხედვით სწავლულებმა დაადგინეს, რომ ბავშვებს, რომელთაც ნაწლავის ჭიები ჰყავთ, მომავალში შედარებით დაბალი ინტელექტი აქვთ, ვიდრე მათზე ჯანმრთელ თანატოლებს. მკვლევარები ამას იმით ხსნიან, რომ ინფექციური დაავადებები ორგანიზმს ტვინის განვითარებისთვის აუცილებელ ენერგიას ართმევს.

# რომელ ყურში გვესმის უკეთ



იტალიელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ადამიანები უკეთ აღიქვამენ და ამუშავებენ იმ ინფორმაციას, რომელსაც მარჯვენა ყურით ისმენენ. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მარჯვენა ყურს უკეთ ესმის, ადრეც არსებობდა და ეს იმას უკავშირდება, რომ ვერბალური ინფორმაცია თავის ტვინის მარცხენა ჰემისფეროს მიერ მუშავდება. მკვლევარებმა ამ ჰიპოთეზის შემოწმება გადაწყვიტეს და კვლევები სამ ეტაპად ჩაატარეს: პირველ ეტაპზე სწავლულები აკვირდებოდნენ 176 მოხალისის ქმედებას იმ მომენტში, როცა ისინი ცდილობდნენ, თანამოსაუბრისთვის ხმამაღალი მუსიკის ფონზე მოესმინათ. დაკვირვებამ აჩვენა, რომ 72% მოსაუბრისკენ მარჯვენა ყურით ტრიალდებოდა; მეორე ეტაპზე მკვლევარები კლუბის სტუმრებთან მიდიოდნენ და დაბალ ხმაზე ამბობდნენ უაზრო ფრაზებს, აკვირდებოდნენ, რომელი მხარით მიბრუნდებოდა მათკენ მსმენელი. 160-დან 58% მარჯვენა ყურით ბრუნდებოდა; მესამე ეტაპზე კი სწავლულები ადამიანებს სიგარეტს სთხოვდნენ და გაცილებით მეტი სიგარეტი მიიღეს, როცა ადამიანები მარჯვენა ყურით ისმენდნენ თხოვნას. მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ის უპირატესობები, რაც ტვინის ფუნქციურ ასიმეტრიას უკავშირდება, ყოველდღიურ ურთიერთობებში გამოვლინდება და ადვილი შესამჩნევია.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | | 6 | | | | 9 |
| | | | 2 | | | | 8 | |
| | 6 | | 3 | 1 | 9 | 7 | | |
| 7 | | | | | | 5 | 2 | |
| | | | | 2 | | | | |
| | 1 | 3 | | | | | | 8 |
| | | 8 | 5 | 3 | 7 | | 9 | |
| | 9 | | | | 1 | | | |
| 3 | | | | 8 | | | 5 | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | 7 | | | 3 | |
| | 7 | 3 | 6 | | | | | |
| 2 | 1 | | 9 | | | | 6 | |
| | | | | 9 | 7 | | | |
| | | 1 | 3 | 2 | 4 | 9 | | |
| | | | 1 | 8 | | | | |
| | 3 | | | | 2 | | 9 | 7 |
| | | | | | 9 | 6 | 8 | |
| | 8 | | | 3 | | | 5 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 5 | | | | | |
| | | 5 | 1 | 9 | | 3 | | 6 |
| | | 9 | | 3 | | | | |
| 7 | | | | | | | 8 | 2 |
| | 8 | | | | | | 4 | |
| 9 | 5 | | | | | | | 3 |
| | | | | 5 | | 4 | | |
| 8 | | 2 | | 4 | 1 | 6 | | |
| | | | | | 6 | | | 8 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 5 | 2 | 4 | | | 7 | |
| | | | 1 | 9 | 5 | 2 | | |
| 3 | | | | | | | | 4 |
| | | 3 | 9 | | | | 1 | |
| | | 7 | | | | 8 | | |
| | 8 | | | | 4 | 6 | | |
| 7 | | | | | | | | 8 |
| | | 2 | 8 | 7 | 9 | | | |
| | 5 | | | 6 | 2 | 7 | | 1 |

# გონებრივი ჩამორჩენილობის განკურნება შესაძლებელია




მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა გონებრივი ჩამორჩენილობის განკურნება მოახერხეს, რომელიც გავრცელებული გენეტიკური დაავადებით იყო გამოწვეული. გენური თერაპიის მეშვეობით, მკვლევარებმა მარტინ-ბელის სინდრომით დაავადებულ თაგვებში ტვინის უჯრედების აღდგენა და ასევე მათი ქცევის ნორმალიზება შეძლეს. მარტინ-ბელის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადებაა, რომელიც X-ქრომოსომაში FMR1 გენის მუტაციითაა გამოწვეული. დაავადება ბავშვებში გონებრივ ჩამორჩენილობასა და მეტყველების შეზღუდვას, ყურადღების კონცენტრაციის დარღვევას, ხასიათის ცვალებადობას, აუტიზმის სინდრომს იწვევს. ავადმყოფებს დამახასიათებელი გარეგნობაც აქვთ: უჩვეულოდ მაღალი შუბლი, სახის არაპროპორციული ნაკვთები, გადიდებული ყურის ნიჟარები. მარტინ-ბელის სინდრომი 4000 ბიჭიდან ერთს, გოგონებში კი 6000-დან ერთს უვითარდება. ამ დროს ზიანდება დენდრიტები — ნერვული უჯრედების წანაზარდები, რომლებიც სინაპსების (ნაერთები ნერვულ უჯრედებს შორის) ჩამოყალიბებაში მონაწილეობს. დაავადებისას იზრდება დენდრიტების რაოდენობა, რასაც თავის ტვინის ნეირონებს შორის ელექტრული სიგნალის გადაცემის დარღვევამდე მივყავართ.

ექსპერიმენტისას, ჯანმრთელ მღრღნელებში ერთი საინტერესო მოვლენა შენიშნეს — აღმოჩნდა, რომ თავის ტვინში ფერმენტის ბლოკადას, სახელწოდებით PAK, სრულიად საპირისპირო ეფექტამდე მივყავართ, რაც მარტინ-ბელის სინდრომისას შეინიშნება: მცირდება დენდრიტების რაოდენობა. მეცნიერებმა თაგვების ისეთი ხაზი გამოიყვანეს, რომელთაც ერთდროულად სინდრომის გენიც ჰქონდათ და PAK–ის გენის დეფექტური ვარიანტიც. ამ უკანასკნელმა ფერმენტის სინთეზი დაარღვია, რომელიც თაგვების დაბადებიდან ერთი თვის შემდეგ გამოვლინდა. საცდელ თაგვებს აღენიშნებოდათ მარტინ-ბელის სინდრომის ნიშნები: ჰიპერაქტიურობა, უაზრო და გამეორებადი მოძრაობები. ერთი თვის შემდეგ ანუ იმ პერიოდში, როცა ფერმენტის ბლოკირება ხდებოდა, სინდრომის ყველა სიმპტომი ან გაქრა ან მნიშვნელოვნად შემცირდა. გამოკვლევისას კი ცხოველებს ნერვული უჯრედების დენდრიტების ნორმალური რაოდენობა აღმოაჩნდათ. სწავლულები მიიჩნევენ, რომ მარტინ-ბელის სინდრომით დაავადებული ბავშვების მკურნალობისთვის სულაც არ არის საჭირო გენეტიკური თერაპია. სამკურნალო პრეპარატის შექმნა შეიძლება ერთ-ერთი ცნობილი ნაერთის საფუძველზე, რომელიც PAK-ის ფერმენტის მოქმედებას ბლოკავს.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | 5 | 9 | 8 | 4 | 2 | 7 | 6 |
| 8 | 9 | 6 | 3 | 2 | 7 | 4 | 1 | 5 |
| 7 | 4 | 2 | 6 | 5 | 1 | 3 | 9 | 8 |
| 9 | 2 | 7 | 8 | 4 | 6 | 5 | 3 | 1 |
| 6 | 1 | 4 | 5 | 9 | 3 | 8 | 2 | 7 |
| 5 | 8 | 3 | 7 | 1 | 2 | 6 | 4 | 9 |
| 4 | 7 | 1 | 2 | 6 | 5 | 9 | 8 | 3 |
| 3 | 6 | 9 | 4 | 7 | 8 | 1 | 5 | 2 |
| 2 | 5 | 8 | 1 | 3 | 9 | 7 | 6 | 4 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 7 | 2 | 1 | 8 | 6 | 5 | 3 | 4 |
| 1 | 6 | 3 | 7 | 5 | 4 | 2 | 9 | 8 |
| 5 | 8 | 4 | 3 | 2 | 9 | 1 | 7 | 6 |
| 4 | 3 | 9 | 6 | 1 | 8 | 7 | 2 | 5 |
| 8 | 2 | 5 | 4 | 9 | 7 | 6 | 1 | 3 |
| 7 | 1 | 6 | 2 | 3 | 5 | 4 | 8 | 9 |
| 6 | 9 | 8 | 5 | 7 | 1 | 3 | 4 | 2 |
| 3 | 5 | 7 | 9 | 4 | 2 | 8 | 6 | 1 |
| 2 | 4 | 1 | 8 | 6 | 3 | 9 | 5 | 7 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 1 | 7 | 3 | 4 | 8 | 6 | 5 |
| 3 | 8 | 6 | 5 | 2 | 1 | 9 | 7 | 4 |
| 7 | 4 | 5 | 9 | 6 | 8 | 1 | 3 | 2 |
| 2 | 7 | 4 | 1 | 5 | 3 | 6 | 9 | 8 |
| 8 | 6 | 3 | 2 | 7 | 9 | 5 | 4 | 1 |
| 5 | 1 | 9 | 8 | 4 | 6 | 7 | 2 | 3 |
| 6 | 5 | 2 | 4 | 1 | 7 | 3 | 8 | 9 |
| 4 | 3 | 8 | 6 | 9 | 5 | 2 | 1 | 7 |
| 1 | 9 | 7 | 3 | 8 | 2 | 4 | 5 | 6 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 5 | 2 | 7 | 9 | 8 | 6 | 3 |
| 6 | 8 | 9 | 3 | 1 | 5 | 4 | 2 | 7 |
| 7 | 3 | 2 | 4 | 6 | 8 | 5 | 1 | 9 |
| 5 | 7 | 1 | 9 | 8 | 6 | 3 | 4 | 2 |
| 4 | 2 | 8 | 5 | 3 | 1 | 7 | 9 | 6 |
| 3 | 9 | 6 | 7 | 2 | 4 | 1 | 8 | 5 |
| 8 | 1 | 7 | 6 | 9 | 3 | 2 | 5 | 4 |
| 2 | 6 | 4 | 8 | 5 | 7 | 9 | 3 | 1 |
| 9 | 5 | 3 | 1 | 4 | 2 | 6 | 7 | 8 |

მე-12 გვერდი: 1. ჰიპოტენუზა; 2. აკორდეონი; 3. ჰომეოპათია; 4. პანტერა; 5. ტიციანი; 6. ნიასა; 7. კამამბერი; 8. რერიხი; 9. ეთნარქი; 10. ნასიძე; 11. ამუნიცია; 12. ნადი; 13. ადა; 14. დალტონი; 15. მერინოსი; 16. ასპიროზი; 17. ანტალია; 18. ებონიტი; 19. ადენიტი; 20. მონე; 21. ალიდადა; 22. მახარაძე; 23. პარანა; 24. იტილი; 25. ზენობია; 26. ბენქსი; 27. აარონი; 28. იასაყი; 29. აგრა; 30. ფრიზი; 31. პიტ; 32. ათი; 33. ანიონი; 34. დოგი; 35. აია; 36. რეგატა; 37. ათენი; 38. რეტი; 39. ნბა; 40. ანოა; 41. ნაიადა; 42. ალია; 43. ნაგოია; 44. ბისტრო; 45. ალგეთი; 46. ევა; 47. ზოლა; 48. ტრიკონი; 49. ბარი; 50. ნატაშა; ანა; 52. უმი; 53. ნიკო; 54. „შინ“; 55. ლიბია; 56. ბია; 57. სკა; 58. ყური; 59. ინა; 60. არიფი; 61. გრავე; 62. ავაზაკი; 63. ამინ.

# პროდუქტი, რომელიც ნერვებს ამშვიდებს



ნერვული სისტემის პრობლემები ორგანიზმს ვნებს, მედიკოსებმა კი ნერვების გასამტკიცებელი ხუთი ძირითადი პროდუქტი დაასახელეს.

1. ვიტამინი ბე-1 — წიწიბურასა და შვრიის ფაფა, ღორის ხორცი, ჭვავის პური.

2. ვიტამინი ბე-2 — პარკოსნები, ისპანახი, ლუდის საფუარი, გარგარი, კვერცხი... ამ პროდუქტის გარეშე უარესდება განწყობა, იწყება თავისტკივილი, სისუსტე.

3. ვიტამინი ბე-12 — ზღვის პროდუქტი, გულ-ღვიძლი, კვერცხის ცილა, რომელთა მიღება ალცჰეიმერის დაავადებას ბლოკავს.

4. რძე და რძის პროდუქტი (მათ შორის, რძემჟავა პროდუქტიც), რომელიც უხვად შეიცავს კალციუმს, ამ მინერალის უკმარისობა კი იწვევს მუდმივ შფოთიანობას და გაღიზიანებას.

5. ტვინის მუშაობისა და ჰორმონალური ბალანსისთვის აუცილებელია იოდი — ზღვის პროდუქტი, ზღვის კომბოსტო იოდის წყაროა.

# კარტოფილი კუჭის წყლულს კურნავს



ბრიტანელმა სწავლულებმა მანჩესტერის უნივერსიტეტიდან კარტოფილში აღმოაჩინეს უნიკალური მოლეკულა, რომელსაც ჯერ სახელიც არ აქვს, თუმცა, როგორც გაირკვა, ეს ნივთიერება კლავს ბაქტერიებს, რომლებიც კუჭში ანთებით პროცესებს პროვოცირებს და უფრო ეფექტურია, ვიდრე ტრადიციული ანტიბიოტიკები. ცნობილია, რომ კუჭის წყლულს იწვევს ბაქტერია Helicobacter პყლორი, რომლის სამკურნალოდაც, ძირითადად, ანტიბიოტიკებს იყენებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაწლავურ მიკროფლორას აზიანებს, ეს კი, თავის მხრივ, იმუნურ სისტემას ასუსტებს, თანაც, ამ დროს არსებობს გვერდითი მოვლენების რისკი. კუჭის წყლულის მკურნალობის ახალი მეთოდი უკვე დაპატენტებულია და ალბათ, მალე გაყიდვაში გამოვა „კარტოფილის წვენი“, როგორც საკვები დანამატი. მკვლევარების აზრით, ამ მარტივი მეთოდით, ნებისმიერი ადამიანი შეძლებს თავის დაცვას ბაქტერიული წყლულისა და გულძმარვისგან.

# დაბერების საწინააღმდეგო საშუალებას მიაგნეს



ამერიკელმა სწავლულებმა მეტად საინტერესო ფაქტი აღმოაჩინეს — პროტეინი SIRT1 გამაახალგაზრდავებელ ეფექტს ახდენს ასაკოვანი ადამიანის ორგანიზმზე. უკვე დამტკიცებულია მისი ეფექტურობაც თაგვების ქსოვილების სიცოცხლის გახანგრძლივებით. პროტეინი აუმჯობესებს ჯანმრთელობის მდგომარეობას, აქვეითებს ქოლესტერინის დონეს და მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტის წინააღმდეგ პროფილაქტიკურ საშუალებადაც გვევლინება. კვლევები მხოლოდ ლაბორატორიულ მღრღნელებზე ჩატარდა, თუმცა ყველა ძუძუმწოვრის ფიზიოლოგიური პროცესი თითქმის მსგავსია და მიღებული შედეგები შეიძლება ადამიანზეც განვავრცოთ. კვლევისას დადგინდა, რომ SIRT1-ის მოლეკულა ქსოვილის სიცოცხლეს 10%-ით ზრდის და პრეპარატების მიღება ამ ნაერთის დამატებით შესაძლებელს გახდის ასაკობრივი დაავადებების განვითარების შეჩერებას და მოხუცებს შეუნარჩუნებს მოძრაობის კოორდინაციას. გარდა ამისა, SIRT1 აღადგენს დნმ-ის სტრუქტურას და გულის დაავადებებსაც ებრძვის.

# ქართველმა მორაგბეებმა რუმინელები გაანადგურეს და მსოფლიო თასზე გავიდნენ



15 მარტს მიხეილ მესხის სტადიონზე საქართველომ და რუმინეთმა 2014 წლის ევროპის ერთა თასისა და 2015 წლის მსოფლიო თასის ევროპული საკვალიფიკაციო რაუნდის ფინალური შეხვედრა გამართეს. საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა რუმინეთის ნაკრები ანგარიშით 22:9 დაამარცხა და ამ გამარჯვებით ევროპის ერთა თასი და ანთიმოზ ივერიელის თასი მოიპოვა.

ამასთან განისაზღვრა 2015 წელს ინგლისში გასამართ მსოფლიო თასზე C და D ჯგუფებში მონაწილე გუნდები.

„ბორჯღალოსნები“ სასურველ C ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მეტოქეებად ახალი ზელანდიის, არგენტინისა და ტონგას ნაკრებებთან ერთად, აფრიკის კონტინენტის შესარჩევ ეტაპზე გამარჯვებული ეყოლებათ.

შეხვედრას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი და საქართველოში ვიზიტად მყოფი რუმინეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ პონტა დაესწრნენ.

საქართველოს რაგბის ეროვნულ ნაკრებს გამარჯვება პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა პირადად მიულოცა — მატჩის დასრულების შემდეგ, რუმინელ კოლეგასთან ერთად, მოედანზე ჩავიდა და „ბორჯღალოსნებს“ ანთიმოზ ივერიელის თასი გადასცა.

***„ინტერპრესნიუსი“***







**გაზეთ „ვერსიის“ გავრცელების სამსახურის უფროსს, დავით მაისურაძეს გარდაეცვალა მეუღლე.**

**პანაშვიდი: კვირას და ორშაბათს, 16-17 მარტს.**

**დაკრძალვა: 18 მარტს, სამშაბათს, 14:00 საათზე**

**მის: თბილისი. ტარიელის ქ. №2 (მთაწმინდის რაიონი; ალექსანდრე ჭავჭავაძისა და არსენას ქუჩების მიმდებარე ქუჩა).**

**„ვერსია“ სამძიმარს უცხადებს და თანაუგრძნობს დათო მაისურაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო**


## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**



ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.